ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 ნოემბერი 2004 №257 (2278) ფასი 50 თეთრი


# სუნესს დინამოს სული ახსოვს

## ქეცბაიამ კაჭკაჭებს ოფოფები დაუფრთხო



*კოგა ინასარიძე ნიუკასლიდან*





გუშინ „სენტ ჯეიმს პარკზე" გია გეგუჩაძემ „დინამო" ერთი საათი ავარჯიშა

„ნიუკასლის" მწვრთნელმა გრემ სუნესმა გუშინდელ ერთსაათიან პრესკონფერენციაზე „კაჭკაჭების" „ბოლტონთან" წაგებაზე გაცილებით მეტი ილაპარაკა, ვიდრე „დინამოსთან" დღევანდელ შეხვედრაზე. ერთხელ 1979 წლის „დინამო" — „ლივერპულის" დიდი მატჩი გაიხსენა, მეორედ კი „დინამოს" „სოშოსთან" წაგება.

„ნიუკასლი" საიუბილეო, მეასე საშინაო ევროგოლის მოლოდინშია. დღემდე ჯორდებს „სენტ ჯეიმს პარკზე" ევროტურნირებში 46-ჯერ უთამაშიათ, 34 მოგება, 5 ფრე, 7 წაგება და 99 გოლი. საერთოდ კი, „დინამოსთან" შეხვედრა „ნიუკასლისთვის" 62-ე საუეფასთასო მატჩი იქნება, უეფას თასზე კი შინ სულ ორჯერ წაუგია.

კიდევ ერთი აქაური ახალი ამბავი ისაა, რომ დღეს შესაძლოა ვერ ითამაშოს მასპინძელთა ძირითადმა მეკარემ შეი გივენმა. საქმე ისაა, რომ ამ სტრიქონების წერისას გივენი შესაძლოა უკვე მამა გახდა. ის მეუღლეს სამშობიაროში თავზე ადგას და წუთი-წუთზე შვილს ელის. სუნესს კი უთქვამს, გივენის ბედნიერება ჩვენც უნდა გავიზიაროთ და თუ ხვალ არ ითამაშებს, ნუ გაიკვირვებთო.

ახლა „დინამოზე", რომელმაც „სენტ ჯეიმს პარკზე" გუშინ ერთი საათი ივარჯიშა. გია გეგუჩაძის განკარგულებაში ნიუკასლში მყოფი 21-ვე ფეხბურთელი იყო, სამი მეკარით და დისკვალიფიცირებული ჭიჭველიშვილით. ბიჭები ხალისიანად ასრულებდნენ მწვრთნელის მითითებებს და სახელოვანი მეტოქის შიშს სულაც არ იტყობდნენ. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს — ასეთია ფეხბურთელთა განწყობა თამაშის წინ და ამასვე ამბობს გია გეგუჩაძეც, რომელმაც ორი ქართველი და ამდენივე ინგლისელი ჟურნალისტის კითხვებს გუნდის ვარჯიშამდე უპასუხა.

— ურთულესი მატჩი გველის, დღევანდელი „დინამოსთვისაც" და ჩემთვისაც ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა პირველია, თუმც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ, თავს დავდებთ და მოგების იმედი გვექნება.

— რა იცით „ნიუკასლზე"?

— დიდი გუნდია დიდი ტრადიციებით. დაცვა საიმედოა, ნახევარდაცვა საკმაოდ დაბალანსებული, თავდასხმაში კი, მოგეხსენებათ, ვინც ჰყავთ.

— რას აჩვენებს „დინამო" ნიუკასლელ ქომაგებს?

— ბრძოლას და ლამაზ ფეხბურთს. შედეგის მიუხედავად, ვიმედოვნებ, ნიუკასლელი ფანები ტაშს დაგვიკრავენ.

— „დინამო" გადაღლილიაო, ნიუკასლში წამოსვლამდე თქვით. ახლა რას ატყობთ გუნდს?

— გუნდში კარგი, ხალისიანი განწყობაა და ღირსეულ თამაშს ველი. ფეხბურთელი ვალდებულიცაა, შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშოს.

— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?

— სამწუხაროდ, ორი ფეხბურთელი თბილისში დავტოვეთ — რომერო და გრიგალაშვილი ტრავმირებულები არიან.

თქვა გია გეგუჩაძემ და გუნდს სავარჯიშოდ გაუძღვა. „სენტ ჯეიმს პარკის" ბრწყინვალე, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის რეკონსტრუირებულ სტადიონზე როგორი გაზონი იქნება, ამაზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია. გუშინ კი ამ სტადიონის ტრიბუნაზე 50-მდე ქართველი მოკალათდა და ქართული დროშაც აფრიალდა. როგორც აქაურმა ქართველებმა გვითხრეს, თამაშს 150-200 ჩვენებურიც დაესწრებაო.

დღეს გლაზგოდან ჩამოდის „რეინჯერსის" თავკაცი ალექს მაკლიში, გუშინ კი „დინამო" შოთა არველაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა მოინახულეს. როგორც მათ თქვეს, მაკლიში ნიუკასლში სწორედ დინამოელებზე დასაკვირვებლად მოდის. ეს კი ახალგაზრდა დინამოელებისთვის დამატებითი სტიმულია.

გუშინდელ „დეილი მირორში" გამოქვეყნდა თემურ ქეცბაიას მცირე ინტერვიუ ასეთი სათაურით: ექსდინამოელი და ექსნიუკასლელი ინგლისელებს აფრთხილებს: „დინამოსთან" ნუ იხუმრებთ!" ტექსტი კი ასე იწყება: „თემურ ქეცბაია „ნიუკასლს" თითს უქნევს და ურჩევს, „დინამოსთან" მთელი ძალით ითამაშოს". ქეცბაიას ისიც უთქვამს, რომ „დინამოსთვის" უეფას ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა უკვე დიდი წარმატებაა და ეს ქართული ფეხბურთის ალმავლობაზე მეტყველებსო.

ქალაქში უკვე იგრძნობა, რომ „ნიუკასლი" საევროპო მატჩს ატარებს, თუმც ესეცაა — „დინამო" ბევრისთვის უცნობი გუნდია და სტადიონი ალბათ არ შეივსება. ისე კი, ბილეთი 20 გირვანქა ღირს და როგორც „სენტ ჯეიმს პარკის" სალაროებში გვითხრეს, ბილეთები იხრადაა.



ვის ენდობა გია გეგუჩაძე: ზურაბ მამალაძეს (ფოტოზე) თუ ირაკლი ზოიძეს?

### დინამოს სავარაუდო შემადგენლობა



# სუნესმა მისტერია ახსნა



## რუსული დინამო და 1979 წელი არ ითვლება

### მზად ვარ უჩვეულო თბილისისთვის

გუშინ „ნიუკასლის“ მწვრთნელი გრემ სუნესი ბრიტანელ ჟურნალისტებს შეხვდა და „დინამოსთან“ მატჩზე ესაუბრა. შოტლანდიელი მწვრთნელის და რეპორტიორების გუშინდელი ამბავი კი სააგენტო „როიტერმაც“ გაავრცელა.

სუნესი რომ ჩვენ „დინამოს“ პირველად არ ეპაექრება, ალბათ ყველასთვის ცნობილია — 1979 წელს ჩემპიონთა თასზე „დინამომ“ „ლივერპული“ რომ გამოაგდო (1:2, 3:0), იმ „ლივერპულს“ სწორედ სუნესი კაპიტნობდა. ერთი სიტყვით, გუშინ სუნესმა თქვა, რომ...

— თბილისთან მხოლოდ ცუდი მოგონებები მაკავშირებს და ვცდილობ, რომ ყველაფერი ეს თავიდან ამოვიგდო. იმ დროისთვის „დინამო“ რუსეთის ჩემპიონი იყო, ბრწყინვალე გუნდი, რომელმაც დამსახურებულად გაიმარჯვა. მაშინ ჩვენ ტურნირის ფავორიტები ვიყავით და „დინამოსთან“ წაგება, ცოტა არ იყოს, შოკისმომგვრელი იყო.

— თბილისი ახლა განსხვავებულ გამოწვევას შემოგვთავაზებს და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ უჩვეულო რაღაც-რაღაცებისთვის, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის.

— ევროპული საფეხბურთო საღამოები მისტერიული გახდა, შენ ზუსტად არ იცი, როგორ აპირებს მეტოქე თამაშს და რა კადრები ჰყავს მას.

— რაც 25 წლის წინ მოხდა, ახლა სათვალავში არ მიიღება, ჩვენ ვთამაშობთ გუნდთან, რომელმაც უკვე წააგო პირველი მატჩი „სოშოსთან“ და ის ახლა ასეთ სიტუაციაშია — მოგება ან ყველაფერი დამთავრდა.

**დავით თავართქილაძე**

გუშინ, სანამ „დინამო“ „სენტ ჯეიმს პარკზე“ ივარჯიშებდა, ნიუკასლში დინამოელთა კაპიტან გიორგი ნემსაძეს დავურეკეთ და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ. სათქმელს ნემსაძე და დანარჩენი დინამოელები დღეს იტყვიან, მაგრამ მატჩის წინა დღეს გუნდის კაპიტანს მაინც ჩამოვართვით მცირე ინტერვიუ...

# კონფიდენციალური სტრატეგია უ[illegible]

### არ ვიცი, რამდენად გაგვიმართლებს

— ნიუკასლში გრილა და ნისლია, სუსხი კი მაინცდამაინც არ არის. რაც შეეხება თამაშს, ნიუკასლში თამაში ძალიან რთულია. მაგრამ ინტერესიც ძალიან დიდია — ლამაზ ატმოსფეროში მოგვიწევს თამაში.

— „დინამომ“ ბოლო სამი თამაში წააგო და გია გეგუჩაძემ თქვა, ფეხბურთელები გადაღლილები არიანო — გამოდის, „ნიუკასლს“ გამოფიტულები ეთამაშებით?

— გამოფიტულები ნამდვილად არ ვართ. რაც შეეხება გადაღლას, აქ მხოლოდ კუნთების გადაღლასთან არ გვაქვს საქმე — ფსიქოლოგიური ასპექტიც არის, დატვირთვებისგან გონებაც იღლება.

— ასეთ მდგომარეობაში მყოფმა „დინამომ“ რა უნდა დაუპირისპიროს სტუმრად „ნიუკასლს“?

— გვაქვს კონკრეტული სტრატეგია, თუმც ეს კონფიდენციალური თემაა.

— პირადად შენთვის რას ნიშნავს ეს თამაში?

— ჩემთვის ეს კიდევ ერთი დიდი გამოცდილების მიღებაა — საკლუბო დონეზე ასეთ გუნდთან ჯერ არ მითამაშია.

— ნიუკასლელი გულშემატკივრები — ეს ალბათ „ნიუკასლის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი იქნება...

— ასეთ სიტუაციაში თამაშის გამოცდილება „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს როდესმე ხომ უნდა მიეღოთ და კარგია, რომ ეს ახლა მოხდება. სხვანაირად გამოცდილებას ვერ შეიძენ.

— მატჩის წინ „დინამოს“ გულშემატკივრებს რას ეტყოდი?



— არ ვიცი, რამდენად გაგვიმართლებს, ვნახოთ... გამოცდილება ბევრს ნიშნავს, მაგრამ ისიცაა, რომ ჩვენ ამ მატჩისთვის ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ ვართ.

**დავით თავართქილაძე**

# რეინჯერსული დინამო! დინამო!



გუშინწინ საღამოს გლაზგოდან ნიუკასლში რეინჯერსელი ქართველები ჩავიდნენ — შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი. რა თქმა უნდა, მათი მგზავრობის მიზანი „დინამოს“ მონახულება და გამხნევება იყო.

ხიზანიშვილი და არველაძე ნიუკასლში ორი დღით კი გაჩერდნენ, მაგრამ „დინამოს“ „სენტ ჯეიმს პარკზე“ ვერ უქომაგებენ — დღეს რეინჯერსელები გლაზგოში დაბრუნდებიან. იქნებ მათი ნიუკასლური ვიზიტი „დინამოს“ მისხალით მაინც შეეწიოს.

**დავით თავართქილაძე**

# di_na_mo_fan@hotmail.com

დღეს თბილისის „დინამო“ უეფას თასზე მეორე მატჩს მართავს, მისი მეტოქე კი ვიღაც კი არა, თვით „ნიუკასლ იუნაიტედია“.

თუმცა, ვინც გინდა იყოს მეტოქე, რაკი „დინამო“ საევროპოდ თამაშობს, ჩვენი მკითხველის რუბრიკა ისევ ბრუნდება და ქვემოთ მკითხველთა იმ წერილებს წავიკითხავთ, „სოშოსთან“ მარცხის მერე, „ნიუკასლთან“ მატჩამდე რომ მივიღეთ.

უნდა შევნიშნო, რომ წერილების შინაარსი რამდენადმე შეცვლილია. იმის თქმა მინდა, რომ თუ „სოშოსთან“ მატჩამდე ძირითადად ასეთი წერილები მოდიოდა — მიდი, „დინამო“, შენ ეს შეგიძლია, „სოშოსთან“ წაგების მერე, „ნიუკასლის“ წინ, უფრო თავშეკავებული წერილები მოვიდა, რომლებშიც ავტორები უეფას თასზე მონაწილეობის მნიშვნელობაზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას.

MEZVRO: დიდი საქმე გააკეთა დინამომ ქართული ფეხბურთისთვის უეფას ამ ეტაპზე გასვლით. ახლა ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ტაშს იმსახურებენ, თუნდაც წააგონ (მთავარია უბრძოლველად და სამარცხვინოდ ნუ წააგებენ). ამ ეტაპზე მეტი წინსვლა უტოპიასავით ჩანს იმის გათვალისწინებით, თუ რა დონისაა საქართველოს ჩემპიონატი.

ეს წარმატება ერთჯერადი რომ არ გახდეს, უფრო დიდ წარმატებად რომ გადაიქცეს, დინამო მაგალითი უნდა გახდეს სხვა ქართული გუნდებისთვისაც. მარტო ვერას გახდება, ზოგადად შიდა ჩემპიონატი უნდა დადგეს რაღაც დონეზე. ნაბიჯ-ნაბიჯ ანი სულ წინ უნდა ვიაროთ და ამ წინსვლას ყველამ ერთად უნდა შევუწყოთ ხელი.

ნება მომეცით, MEZVRO-ს დავეთანხმო — უეფას თასზე გასვლა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია ამბავია და რატომღაც მგონია, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს. ახლობელმა თქვა, ახლა წესით „ვიტ ჯორჯიამ“ უნდა გაიფიქროს, მე რომ ვამარცხებ „დინამოს“, „დინამო“ კიდევ უეფას თასზე გადის, ესე იგი, მეც შემიძლია გასვლაო. მგონია, რომ ამ ნათქვამში არის ლოგიკა.

მეორე მხრივ კი კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. აი, თუნდაც ის, რაზეც ჩვენი მომდევნო წერილის ავტორი გვწერს.

LONG 70: აუჰჰჰ! რამდენი რამე გვაქვს სასწავლი!

— უნდა ვისწავლოთ წინ და სწრაფი (და არა განივი და ნელი) პასი და შესაბამისი გადაადგილება;

— უნდა ვისწავლოთ თუნდაც ისე დაცემა, თითქმის 100-პროცენტიანი პენალტისას მსაჯმა კუთხურისკენ კი არა, თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითოს;

— უნდა ვისწავლოთ გულშემატკივრობა! თორემ იმ „ბალეშჩიკებად“ ვართ დარჩენილი, გოლის გაშვების შემდეგ ხმის ამოღების „ობსილა“ რომ აღარ გვაქვს;

— უნდა ვისწავლოთ...

და მოდით, ვისწავლოთ ეს ყველაფერი ერთად — ფეხბურთელებმაც და ქომაგებმაც!

განივი პასებისა რა მოგახსენოთ და გულშემატკივრობაზე კი ორიოდე სიტყვას ვიტყვი — მოდით, ვუქომაგოთ ჩვენს კლუბებს თუ ნაკრებს ისე, როგორც, ვთქვათ, ინგლისელები ქომაგობენ თავიანთ გუნდებს, ანუ ვუქომაგოთ ტაბლოზე ანგარიშის მიუხედავად — თუ ჩემი გუნდი მარცხდება, რა, ჩემი გუნდი აღარ არის და აღარ მიყვარს?! ოღონდ აქ ერთი აუცილებელი პირობაცაა გასათვალისწინებელი — გუნდმა უნდა იბრძოლოს, თორემ თუ გუნდი არ იბრძვის, როგორ გინდა გულშემატკივარს მისი ქომაგობა მოსთხოვო.

მომდევნო წერილი კი მისმა ავტორმა ასე დაასათაურა: „გაბერილი ბუშტი“ და თუ რატომ, ახლავე შეიტყობთ.

SENAKELI: მიხვდით ალბათ, რისი თქმა მინდა ჩემი სათაურით. მე წინასწარ ვიცოდი, რომ დინამო წააგებდა. იცით საიდან?

იქიდან, რომ თამაშამდე თქვენმა გაზეთმა ატეხა ისეთი ხმაური, თითქოს დინამო ლიგის ჩემპიონი გამხდარიყო. სხვათა შორის, მსგავსი ხმაური რუსი ჟურნალისტებისა თავიანთი კლუბის წარმატების დროს ირონიულ შენიშვნებს იმსახურებს თქვენი გაზეთიდან... მოდით რა, ვიყოთ ობიექტურები... რა მოხდა ასეთი სასწაული, დინამო რომ ყოფილიყო მალტის ან კვიპროსის, ანაც ლიხტენშტაინის საშუალო დონის კლუბი მაშინ კიდევ ჰო...

იცით რატომ ვწერ ასეთ წერილს — იმიტომ, რომ ევროპის ათას ან ას გუნდში დინამოს მოხვედრა სრულებით არ არის ისეთი წარმატება, ტრაბახით ყველას რომ ყურები გამოვუჭედოთ...

სიმართლე გითხრათ, სულ არ მაინტერესებს ლიხტენშტაინის და მალტის არათუ საშუალო, საუკეთესო კლუბებიც კი. ალბათ, არც თქვენ გაინტერესებთ. მაგრამ ქართული კლუბები ნამდვილად გვაინტერესებს და მათი ნებისმიერი წარმატებით გახარება, ვფიქრობ, სავსებით ბუნებრივი ამბავია.

ბოლოს კი „ნიუკასლთან“ მატჩის წინ რჩევა გია გეგუჩაძეს.

A.METREVELI: ნიუკასლთან მატჩის წინ მინდა რამოდენიმე ტაქტიკური რჩევა მივცე გია გეგუჩაძეს. მეტოქის სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეულ ფლანგზე ჩვენ დაგვჭირდება ორ-ორი ფეხბურთელი. ნიუკასლს შეუძლია ცენტრიდანაც სწრაფად და ეფექტურად შეუტიოს. გამომდინარე აქედან ცენტრიც საიმედოდ უნდა გადავკეტოთ. ასე რომ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ოპტიმალური ტაქტიკა ჩვენთვის იქნება: 4-5-1. ბიჭებს კი ვეტყვი: ცეცხლი დაანთეთ, ბიჭებო, ცეცხლი!

ცეცხლი ნაღდად გვინდა, ისევე, როგორც თქვენი წერილები, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, ნამატჩევს არ დაიზარებთ და მოიწერთ.

**WEB ოსტატი გუარა**

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| ჰართსი – შალკე | |
| ფერენცვაროში – ფეიენოორდი | |
| **B ჯგუფი** | |
| პარმა – სტიაუა | |
| ბეშიქთაში – ბილბაო | |
| **C ჯგუფი** | |
| უტრეხტი – დნეპრო | |
| აუსტრია – სარაგოსა | |
| **D ჯგუფი** | |
| ნიუკასლი – დინამო (თბილისი) | |
| სპორტინგი – პანიონიოსი | |
| **E ჯგუფი** | |
| პარტიზანი – ეგალეო | |
| მიდლსბრო – ლაციო | |
| **F ჯგუფი** | |
| გრაცერი – ამიკა | |
| ალკმაარი – ოსერი | |
| **G ჯგუფი** | |
| შტუტგარტი – ბენფიკა | |
| დინამო (ზაგრები) – ბევერენი | |
| **H ჯგუფი** | |
| ლილი – ზენიტი | |
| სევილია – ალემანია | |

## ჰართსმა გოლები დაიბრუნა

### დელ ბოსკეს თურქებმა ესპანელობა დაავიწყეს



ბარტ გოორი და „ფეიენოორდი" გოლების გატანას დღეს ბუდაპეშტში ეცდებიან

**A ჯგუფი**

ამ ჯგუფს „ფეიენოორდი" ლიდერობს, რომელმაც პირველ ტურში შინ „ჰართსი" 3:0 გაანადგურა. შოტლანდიურ გუნდს გუშინ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — ჯონ რობერტსონი, ხოლო ძველი, კრეიგ ლევეინი, „ლესტერში" გადავიდა სამუშაოდ. რობერსტონი „ჰართსის" ყოფილი ფორვარდია და 215 გოლიც გაუტანია. „ჰართსმა" გასულ უქმეებზე „დანდის" სძლია, ხოლო „ფეიენოორდმა", რომელიც „ფერენცვაროშს" ეწვევა, სტუმრად „ალკმაართან" 1:4 წააგო.

სვლააკრეფილი გელზენკირხენის „შალკე" „ჰართსს" გაეჯიბრება. „ხუმარებმა" პირველ ტურში შინ „ბაზელს" ვერ მოუგეს. რალფ რანგნიკს იმ მატჩში აილტონი არ ჰყავდა. ბრაზილიელი ამჯერად ძირითად შემადგენლობაში იქნება.

**B ჯგუფი**

„ბეშიქთაშმა" და „სტიაუამ" ჩემპიონატებში იმარჯვეს. „ბეშიქთაშმა" მარადიულ მტერ „ფენერბაჰჩეს" სძლია და ვისენტე დელ ბოსკეს აქციები ერთიორად გაძვირდა. „ბილბაოელები უქულოდ უნდა გავისტუმროთ. მე მომწონს აქაური გულშემატკივრები და მათი იმედი მაქვს" — თქვა ესპანელმა მწვრთნელმა. „ბილბაოს" ტრავმამოშუშებული ესკერო ალბათ სადღეისოდ დაუბრუნდება.

„სტიაუმ" „ნაციონალს" 5:1 მოუგო და პირველ ადგილზე გადავიდა და რუმინელები იტალიაში „პარმას" ესტუმრებიან, რომელიც „ატლანტას" შინ დაუზავდა.

**C ჯგუფი**

ვენის „აუსტრია" მოყოჩალებულ „სარაგოსას" მასპინძლობს. ვიქტორ მუნიოსის გუნდმა გასულ კვირას „სევილიას" 3:0 აჯობა და ორი გოლი დავიდ ვილამ გაიტანა, რომელმაც „უტრეხტთან" პირველ ტურის მატჩში ასევე დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ „სარაგოსას" „სევილიასთან" საშინაო გამარჯვება ზედიზედ მეცხრე გამოდგა. მსგავსი რამ სარაგოსელებმა 40 წლის წინ მოახერხეს და ახლა რეკორდი გაიმეორეს. შინ თუ კარგად თამაშობენ, სტუმრად ძალიან მოიკოჭლებენ, რადგან ბოლო ექვს გასვლით შეხვედრაში ხუთი წააგეს. „აუსტრიამ" ჩემპიონატში „ადმირას" 2:0 სძლია. მეორე გოლის ავტორი სიგურდ რუშფელტდი კი დაშავდა და დღეს ვერ ითამაშებს.

„უტრეხტს", რომელიც „დნიპროს" დაუხვდება, მეკარე იიოს ტელოსი ჰყავს ტრავმირებული. სამაგიეროდ, პსვ-სთან უთამაშებელი ვან დერ ბერგი, ვან დენ ბრინკი და ბრააფხაიდი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდებიან.

**E ჯგუფი**

„ლაციო", რომელმაც „ინტერს" ქულა ააფცქვნა, „მიდლსბროს" ეწვევა. სტივ მაკლარენის გუნდი ამ სეზონში პრემიერლიგის ლიდერებში ტრიალებს და რომაელებს თუ მოუგებენ, შემდეგ ეტაპზე გასვლას გაინაღდებენ. „დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და ჯგუფიდან გავალთ" — თქვა „მიდლსბროს" თავკაცმა სტივ მაკლარენმა.

ბელგრადში „პარტიზანი" ბერძნულ „ეგალეოს" უმასპინძლებს და, ალბათ, სერბებს მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

**F ჯგუფი**

ავსტრიის ჩემპიონი „გრაცერი" წლეულს შარშანდელივით ვერ ყოჩაღობს. ბოლო ტურში შინ „მატერბურგს" დაუზავდა, დღეს კი პოლონურ „ამიკას" მასპინძლობს.

ჰოლანდიისა და საფრანგეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსნები ალკმაარში შეხვდებიან ერთმანეთს. „ალკმაარმა" „ფეიენორდი" დაამარცხა, ხოლო „ოსერმა" პსჟ-სთან ფრე ითამაშა.

**G ჯგუფი**

მათიას ზამერის „შტუტგარტმა" ბუნდესლიგაში მიჯრით სამი მატჩი წააგო. გერმანელები ჯოვანი ტრაპატონის „ბენფიკას" დაუხვდებიან. ორივე გუნდმა პირველ ტურში მოიგო და ჯგუფსაც ლიდერობენ. „შტუტგარტს" ჰაიკო გერბერი ვერ დაეხმარება, სამაგიეროდ, სილვიო მეისნერი და ჰორსტ ჰელდტი მომჯობინდნენ, რომლებმაც „შალკესთან" წაგებული შეხვედრა გამოტოვეს. „ბენფიკას" მეგოლე მანტორსი ჰყავს ტრავმირებული და შტუტგარტში ვერ ითამაშებს.

ზაგრების „დინამომ" ჩემპიონატში „პულას" 3:0 მოუგო. დინამოელთა ბრაზილიელი ფორვარდი ედუარდო და სილვა ბრწყინვალე ფორმაშია. მან „პულასთან" დუბლი შეასრულა და ალბათ „ბევერენსაც" არ დააკლებს.



ჯონ რობერტსონი

**H ჯგუფი**

ფრანგულმა „ლილმა" ბოლო ტურში „სენტ ეტიენი" შინ დაამარცხა და კვლავ კვალში უდგას ჩემპიონ „ლიონს". გუნდი კარგ ფორმაშია, თუმც ურიგოდ არც „ზენიტი" გამოიყურება. პეტერბურგელებმა ცსკა-სთან 0:3 წააგეს, შემდეგ კი „სატურნს" 3:1 მოუგეს და საჩემპიონო შანსს კვლავ ინარჩუნებენ. „ლილს" ტრავმამოშუშებული მცველი გრეგორი ტაფორო დაუბრუნდა, ხოლო ნახევარმცველი მატეა შალმე მოტეხილი ხელის გამო ვერ ითამაშებს „ზენიტთან".

„სევილიას" „ალემანიასთან" მატჩში ფორვარდი მაკუკულა დააკლდება, კარლოს არანდასა და ხესულის თამაში კი საეჭვოა.

**ვაჟა ხუციშვილი**





მათიას ზამერის „შტუტგარტი" ჯოვანი ტრაპატონის „ბენფიკას" დაუხვდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## E ჯგუფი

# როდის გაიტანს გოლს არსენალი?

**არსენალი 1:1 პანათინაიკოსი**
1:0 ანრი (16პ), 1:1 სიგანი (75ს.კ.)
*ბასინასმა ვერ გაიტანა პენალტი (62, ააცილა)*
**არსენალი:** ლემანი, ლორენი, სიგანი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი (ვან პერსი 83), ვიეირა, ფაბრეგასი, პირესი, ანრი, ბერხკამპი (რეიესი 72)
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**პანათინაიკოსი:** ხალკიასი, ჰ ენრიკსენი, კოციოსი, კირიაკოსი, ვინტრა, მარიჩი (მორისი 89), სკაჩელი, ბასინასი, კონსტანტინიდისი, ე. გონსალესი (კონსტანტინუ 60), პაპადოპულოსი (მიტუ 62)
**მწვრთნელი:** ზდენეკ შჩასნი
**გაფრთხილება:** გონსალესი, ანრი, კონსტანტინიდისი, სკაჩელი
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
35 137 მაყურებელი

ამ სეზონში „ჰაიბერიზე" გამართულ ჩემპიონთა ლიგის ორ მატჩში სამი გოლი გავიდა და აქედან ორი საკუთარ კარშია გატანილი.

პირველ ტურში „არსენალსა" და პსვ-ს შორის შეხვედრაში, „მეთოფეებმა" სტუმარი ფეხბურთელის მიერ თავის კარში შეგდებული ბურთის წყალობით იმარჯვეს, გუშინწინ კი პასკალ სიგანმა გაიტანა უკულმა და „არსენალს" „პანათინაიკოსთან" სამი ქულა დააკარგვინა. ამ გოლამდე ბერძენებმა პენალტი გააცუდეს. ეშლი კოულმა დიმიტრიოს პაპადოპულოსი წააქცია, კანტალეხომ კი თერთმეტრიანის ნიშნულზე მიუთითა. პაპადოპულოსს ექიმის დახმარება დასჭირდა, სანამ მას მოედნის გარეთ მკურნალობდნენ, პენალტის შესრულება ბასინასმა იკისრა და ბურთი კარის ჩარჩოს ააცილა. ბასინასმა მსგავსი სამი წლის წინაც მოახერხა „ჰაიბერიზე" ანუ მაშინაც ვერ გაიტანა.

პირველ ტაიმში კი პატრიკ ვიეირას წაქცევისთვის სტუმართა კარში თერთმეტრიანი დაინიშნა. ტიერი ანრიმ გასულ უქმეებზე „საუთჰემპტონთან" გააცუდა პენალტი, ამჯერად კი ივარგა. ანრი გოლმა გაამამლაყინწა და „ჰაიბერს" ისე მოავლო თვალი, თითქოს მის გარდა გოლი არავის გაეტანოს.

„პანათინაიკოსმა" დაცვაში კარგად ითამაშა და შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა. ლუკას ვინტრას ჩაწოდებულ ბურთი პასკალ სიგანის მელოტმა თავმა უშნოდ მოიგერა და იენს ლემანის კარში აღმოჩნდა.

შეცვლაზე შესულ ხოსე ანტონიო რეიესს შეეძლო, ბერძნებისთვის გამარჯვება გამოეგლიჯა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. მისი დარტყმული მეკარე ხალკიასმა მოიგერია, რეიესმა დაამატა, მაგრამ ბურთი ძელს შეაწყვიტა.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ საამსეზონო ლიგაში „არსენალი" „ჰაიბერიზე" ვერ ყოჩაღობს, არადა, ეს გუნდი შინ ყოველთვის „დაფრინავდა". პსვ-სთან ოდენ 1:0 მოიგო, ისიც მეტოქის მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლით, ხოლო „პანათინაიკოსს" ქულა გაატანა. აღსანიშნავია, რომ ორ სალიგო საშინაო მატჩში, „მეთოფეებს" თამაშიდან გოლი არ გაუტანიათ.

ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელმა ზდენეკ შჩასნიმ თქვა: „მერვედფინალი? რატომაც არა?". არსენ ვენგერმა კი განაცხადა, ფიზიკურად მოვიკოჭლებთ, თან ცოტა იღბალმაც გვიგანაო.



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — პანათინაიკოსი. ტიერი ანრის გატანილი პასკალ სიგანმა გაქვითა

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 რუსენბორგი**
1:0 ბესლი (10)
**პსვ ეინდჰოვენი:** ზუტებირი, ლუსიუსი, ბუმა (ჩ. ფეპერი 89), ალექსი, ი. ლი, ვან ბომელი, კოკუ, ფოგელი, ფარფანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სიბონი 76), ბესლი (ვონლანტენი 82)
**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი
**რუსენბორგი:** ე. იონსენი, რასელი, ჰოფტუნი, ჰანსენი, დორსინი, სტრანდი (ჯორჯი 30), სოლი, ვინსნესი, სტორფლორი (ჰელსტადი 85), ფ. იონსენი, სტენსაასი (ბრაატენი 66)
**მწვრთნელი:** ოლა-ბი რისე
**გაფრთხილება:** ჰოფტუნი
**მსაჯი:** არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
26 250 მაყურებელი

პსვ-მ ნორვეგიის ახალგამომცხვარ ჩემპიონს მოუგო და ცალი ფეხით მერვედფინალშია. მასპინძელთა ამერიკელმა ლეგიონერმა დამარკუს ბესლიმ მეტოქე მცველები თავიდანვე დააწიოკა. სწრაფი ამერიკელი ორჯერ [illegible], მაგრამ დარტყმისას სიზუსტე დააკლდა, მესამედ კი მიზანი გაისწორა და იონსენს გაუტანა. ბესლის მომდევნო ეპიზოდში დუბლის შესრულება შეეძლო, თუმც მომენტი გააცუდა.

მეცამეტე წუთზე პსვ-ს კინაღამ სიხარული ჩაუმწარდა. მასპინძელ მეკარე ზუტებირს ფეხი გაუსხლტა და ბურთი იქვე მყოფ ფროდე იონსენს ჩააბარა. იონსენმა სტენსაასს მიაწოდა, მან კი ეულ ზუტებირს ვერ გაუტანა.

ამის შემდეგ დამხვდურთა დაცვა ჩაფლავდა, მაგრამ „რუსენბორგის" ფორვარდთა უნიათობას უნდა უმადლოდნენ, რომ ანგარიში არ გათანაბრდა.

ტაიმის მიწურულს მარკ ვან ბომელმა იყოჩაღა — მეტოქის პასი ჩაჭრა, იონსენთან პირისპირ გავიდა, თუმც ბურთი კარს ააცილა.

მეორე ნახევარში ოლა-ბი რისემ ბრაატენი და ჰელსტადი შეუშვა მოედანზე შეტევის გასაძლიერებლად, ოღონდ ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა. შეხვედრის დასრულებამდე თერთმეტი წუთით ადრე მიკაელ დორსინმა შანსი ვერ გამოიყენა — ათი მეტრიდან ბურთი კარს ააცილა.

გუს ჰიდინკი: „სწრაფი გოლი კარგი იყო. კიდევ შეგვეძლო გატანა და მეტოქის დაჩოქება, მაგრამ არ გამოვიდა. პირველ ტაიმში დიდი ენერგია დავხარჯეთ და შესვენების შემდეგ ამიტომ გაგვიჭირდა".

ოლა-ბი რისე: „სამწუხაროა, რომ „პანათინაიკოსმა" ლონდონში ქულა აიღო. ახლა მესამე ადგილზე გასვლაც საეჭვო გაგვიხდა".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

V ტური: 24 ნოემბერი
**რუსენბორგი — პანათინაიკოსი**
**პსვ ეინდჰოვენი — არსენალი**

## F ჯგუფი

# ლუჩესკუმ ხარჭი დათვალა

**სელტიკი 1:0 შახტარი**
1:0 ტომპსონი (25)
**სელტიკი:** მარშალი, აგატი, ვარგა, ვალგაერენი, მაკნამარა, ლენონი, პეტროვი, ა. ტომპსონი, ჰარტსონი, ა. კამარა (კ ბიტი 81), მაკგიდი (ჟულესი 79)
**მწვრთნელი:** მარტინ ონილი
**შახტარი:** ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, სრნა, ტიმოშჩუკი, დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი (მუშმანი 60), ვორობეი (ბატისტა 74), აგაჰოვა (მარიკა 69)
**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ
**გაფრთხილება:** ბარკაუანი, ბარკაუანი, ვალგაერენი
**გაძევება:** ტიმოშჩუკი (43), ბარკაუანი (58)
**მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)
58 000 მაყურებელი

„სელტიკმა" პირველი გამარჯვების მოპოვება მეოთხე ტურში „შახტართან" მოახერხა და ამ გუნდებს ალბათ მესამე ადგილისთვის უეფას თასზე თამაშის გასაგრძელებლად მოუწევთ ბრძოლა.

მასპინძლებს საამმატჩოდ სენეგალელი ფორვარდი ანრი კამარა გამოუკეთდათ, თუმც ცენტრალური მცველი ბობო ბალდე გამოაკლდათ. მისი ადგილი ვალგაერენმა დაიკავა, ხოლო მაკგიდმა ჟუნინიო პაულისტა შეცვალა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მაკგიდის სადებიუტო მატჩი ჩემპიონთა ლიგაში.

გლაზგოელებს მესამე წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა — ვალგაერენის თავური ლაშტუვკამ სასწაულებრივ მოიგერია, შემდეგ კი სტილინ პეტროვმა ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა. აგატის დარტყმული ბურთი კი სტუმართა მცველებმა ხაზიდან გამოატრიეს, თუმც ტაიმის შუაში „შახტარის" კარის ბადე მაინც აფართხალდა. ლაშტუვკა დროის გაყვანისთვის მსაჯმა გააფრთხილა და თავისუფალი საჯარიმო დანიშნა. პეტროვმა ბურთი ტომპსონს დაუგორა, მან კი დროის გამყვანს გაუტანა.

პირველი ნახევრის მიწურულს სტუმრებს ერთი კაცი გამოაკლდათ — ტიმოშჩუკმა ანრი კამარა წესის დარღვევით დაამუხრუჭა და ერიკ პულამ დამრღვევი გააძევა.

მეორე ნახევრის დასაწყისში, კაცნაკლულობის მიუხედავად, „შახტარმა" ერთი კი გაიფართხალა, მაგრამ „სელტიკმა" ისევ დაქოქა და მის შეტევებს მორიგი სტუმარი „ემსხვერპლა" — ბარკაუნმა პეტროვთან უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რასაც გაძევება მოჰყვა. ამის შემდეგ „სელტიკი" ამაოდ ცდილობდა ანგარიშში სხვაობის გაზრდას, ხოლო ვორობეიმ და ლევანდოვსკიმ კინაღამ დაშოკეს მასპინძელთა ფანები. ორივე ფეხბურთელს კარგი მომენტები შეექმნათ, მაგრამ ვერ იხეირეს.

ნამატჩევს მარტინ ონილმა „ბარსელონასთან" სამომავლო შეხვედრაზე თქვა: „ჩავალთ „კამპ ნოუზე" და იქ მოგებას ვეცდებით, რომ მერვედფინალში გასვლის შანსი გაგვიჩნდეს. თუ წავაგეთ, ისღა დაგვრჩენია, შინ „მილანს" ვძლიით, რათა მესამე ადგილი მაინც დავიკავოთ და უეფას თასზე გადავინაცვლოთ".

მირჩა ლუჩესკუმ კი უიღბლობა დაიჩივლა: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ „მილანთანაც", „ბარსელონასთანაც" და ამჯერად „სელტიკთანაც", მაგრამ უპირატესობა უიღბლობის გამო გოლებად ვერ ვაქციეთ. ისე გამოდის, თითქოს არაფრისთვის ვიხარჯებით".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| სელტიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |

V ტური: 24 ნოემბერი
**მილანი — შახტარი**
**ბარსელონა — სელტიკი**



შახტარელ ბარკაუანის სტილიან პეტროვის წაქცევა არ შერჩა — გააძევეს

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## F ჯგუფი

**ბარსელონა 2:1 მილანი**
0:1 შევჩენკო (17), 1:1 ეტოო (37), 2:1 რონალდინიო (88)
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, მარკესი (ლარსონი 81), ხავი, დეკო, ჟიული (ინიესტა 67), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, ამბროზინი, პირლო, კაკა (რუი კოშტა 76), სერჟინიო (ზეედორფი 74), შევჩენკო (ტომასონი 87)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კაკა, ამბროზინი, რონალდინიო, გატუზო
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
98 000 მაყურებელი

# დიდი მატჩის ეპიზოდები

ასეთი მატჩების გარჩევა წილისყრის შემდეგ იწყება და თამაშის მერე კარგა ხანს გრძელდება. „ბარსელონას“ და „მილანის“ ქომაგებმა, შესაძლოა, ბევრი იდავონ ამა თუ იმ ეპიზოდზე, მსაჯის ნასტვენზე, ანჩელოტისა და რაიკარდის ტაქტიკურ სქემებზე, ჩვენ კი შეგვიძლია გავიხსენოთ:

— ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელშიც „ბარსელონა“, როგორც გუშინწინ, მეტწილად უტევდა, წააგო და სამი ქულა „მილანმა“ მიითვალა.

— ანდრეი შევჩენკომ „სან სიროზეც“ გაიტანა და „კამპ ნოუზეც“. უკრაინელმა ორივე შეხვედრაში პირველ ტაიმებში იყოჩაღა.

— როგორ მისდევდა ოლეგერი შევჩენკოს, ებღაუჭებოდა მაისურაზე, მაგრამ ფორვარდი არ წაიქცა და თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა.

— როგორ ვერ გაიტანა კაკამ სერჟინიოს კანფეტ-პასის შემდეგ, სერჟინიომ კი ამის მერე შეტევისთვის ველარ მოიცალა და მცველობა გასწია.

— ჯენარო გატუზო, რომელიც კადრში ბურთით თითქმის არ გამოჩენილა, სულ მეტოქეებთან ჯახაჯუხში ვხედავდით.

— ვალდესთან შეჯახების შემდეგ მინდორზე მოგორავე, ხელაწეული შევჩენკო, უნებლიედ „ბარსას“ შეტევა რომ ჩაშალა და „კამპ ნოუს“ რისხვა დაიმსახურა.

— ურს მაიერი, რომელიც ტუჩგახეთქილ კაფუს ანიშნებდა, სასტვენამდე არ შემოხვიდეო და სანამ მოედნისკენ შებრუნდებოდა, ეტოომ დიდას გაუტანა.

— და, რა თქმა უნდა, რონალდინიოს გოლი.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS ბარსელონა

სამუელ ეტოო

*ჩემი გოლი სანახევროდ ხავის ეკუთვნის. რომ არა მისი შესანიშნავი პასი, დიდას ვერ გავუტანდი.*

*რონიმ კი ბრწყინვალედ დაარტყა და მანამდეც ჭკვიანურად თამაშობდა. „ბარსელონას“ დაწინაურება ადრეც შეეძლო, თუმც საფეხბურთო ფორტუნამ ისურვა, ბოლო წუთზე რონალდინიოს გოლით გაეხარებინა ინჩასები.*

## ნამატჩევს



### ფრანკ რაიკარდი

„ბარსელონას“ მწვრთნელი

*მეორე ტაიმის მიწურულს მატჩი ძალიან დაიძაბა და მოხარული ვარ, რომ რონიმ ფანტასტიკური დარტყმით მოგვაგებია. იგი ახლა ჩინებულ ფორმაშია. მინდა, მადლობა ვუთხრა ქომაგებს, ისინი მთელი თამაშის განმავლობაში გვიჭერდნენ მხარს. ცვლილებებმა გაამართლა — რაფაელ მარკესის ლარსონით ჩანაცვლება საკმაოდ სარისკო იყო, თუმცა მინდოდა, შეტევა გამეძლიერებინა, რაც, საბედნიეროდ, მოვახერხეთ კიდეც.*

### კარლო ანჩელოტი

„მილანის“ მწვრთნელი



*„კამპ ნოუზე“ დამარცხების შემდეგ კარლო ანჩელოტიმ მხრები აიჩეჩა და უკვე შემდეგ თამაშზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა მანამდე, ბუნებრივია, მომხდარი გააანალიზა.*

*მასპინძლებმა ძალიან კარგად ითამაშეს და ბურთის ფლობის უნარმა თანდათანობით სასწორი მათ სასარგებლოდ გადასწონა, თუმცა პირველ ტაიმში, ყოველ შემთხვევაში პირველ ნახევარ საათში, ულაპარაკოდ, ჩვენ ვჯობდით.*

*შესვენებამდე დალაგებულად ვმოქმედებდით, თუმცა ვფიქრობ, მაინც მეტი აგრესიულობა გვმართებდა, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში. გარდა ამ ერთი ნაკლისა, შეიძლება ითქვას, რომ ვაკეთებდით რაც გვინდოდა და რამდენიმე დიდებული საგოლე მომენტიც შევქმენით.*

*ახლა, შემდეგი შეხვედრა „შახტართან“ გვაქვს, დონეცკელები „სან სიროზე“ ჩამოდიან... სხვათა შორის, ადრე რომ გეთქვათ, ჯგუფში ერთი თამაშის წაგება გიწერიათო, ამ დამარცხებას „კამპ ნოუზე“ ვამჯობინებდი. „ბარსელონა“ ძალიან დიდი გუნდია და ამიტომ, რაც ვითამაშეთ დადებითად უნდა მოვიჩნიოთ, მით უფრო, რომ მასპინძლები ჩვენ კი არ ვიყავით, ისინი იყვნენ. ახლა ის მაინც მოხდება, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლას საკუთარ ქომაგებთან ერთად ვიზეიმებთ.*

*...სერჟინიო იმიტომ ვათამაშე, რომ გვინდოდა ფლანგი მაქსიმალურად გამოგვეყენებინა, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნე, ნახევარდაცვაში სუსტად ვიმოქმედეთ და, შესაბამისად, სწრაფი და მწვავე კონტრშეტევებიც არ გამოგვივიდა. როდესაც ბურთი „ბარსა“ აქვს, მისი ფეხბურთელები გამუდმებულ დევნას გაიძულებენ, თუმცა მათი ზეწოლა თანდათან სუსტდებოდა. რომ არა რონალდინიოს არსაიდან მოტანილი ფანტასტიკური გოლი, ვფიქრობ, შედეგი სხვა იქნებოდა, თუმცა ჯამში მაინც უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს.*

*...„ბარსელონამ“ ჩვენი კონტრშეტევების უმრავლესობა ჩაჭრა და მოედნის შუაში ბურთისთვის ბრძოლებიც ძირითადად მან მოიგო. სწორედ ეს გახლდათ ყველაფრის მიზეზი. დიახ, დამარცხებამ გამაღიზიანა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს. ახლა მთავარია, „რომასთან“ საკვირაო თამაშზე გადავერთოთ.*

### რონალდინიო

*„მილანის“ დონის გუნდთან გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს. თამაში თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ალბათ დიდი უსამართლობა იქნებოდა, „ბარსას“ 3 ქულა რომ დაეკარგა... ეტოოს პასის მერე გადაწყვეტილების მისაღებად თითქმის დრო არ მრჩებოდა და ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთე. „მილანის“ ძლევა ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი უპირობო ფავორიტობის მაჩვენებელი არ არის, წინ რთული მატჩები გველის და ახლა მოდუნება მხოლოდ ზიანს მოგვიტანს.*

### კარლეს პუიოლი

*იტალიელებმა შინ თავიანთი ფეხბურთით გვაჯობეს, ამჯერად კი ჩვენმა სათამაშო სტილმა გაიმარჯვა. ეტოოსა და რონალდინიოს გოლები „ბარსას“ მონდომების ლოგიკური შედეგი გახლდათ — სტუმრებმა ერთი ბურთი შეაგდეს და შემდეგ დაცვაში ჩადგნენ, „ბარსელონამ“ კი გამარჯვება გამუდმებული შეტევებით მოიპოვა.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## G ჯგუფი

# აი, კლასი: კლასნიჩი!

**ინტერი 0:0 ვალენსია**

**ინტერი:** ფონტანა, ზე მარია, კორდობა, მატერაცი, ხ. ძანეტი, ვერონი (კ. ძანეტი 79), კამბიასო, დავიდსი, სტანკოვიჩი (პასკუალე 89), ადრიანო, მარტინსი (რეკობა 78)
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, მარჩენა, კარბონი, რუფეტე, ბარახა (სისოკო 74), ალბელდა, ანგულო, დი ვაიო (კორადი 71), მისტა (მორეტი 85)
**მწვრთნელი:** კლაუდიო რანიერი
**გაფრთხილება:** ბარახა, კანეირა
**გაძევება:** ადრიანო (90)
**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
**40 000 მაყურებელი**

მატჩის ბოლო წუთზე „ინტერს" ადრიანო გაუძევეს კანეირასთან შეხლის გამო, ბრაზილიელმა უხეშად მოთამაშე და მასთან მოძიძგილავე ვალენსიელს ხურდა დაუბრუნა.

„ინტერი" კი მერვედფინალშია, რაკი „ანდერლეხტი" მას ვეღარ დაეწევა, „ვალენსიას" კი, მართალია, ქულებით დაწევა შეუძლია, მაგრამ ვერ გადაუსწრებს — ურთიერთშეხვედრებში „ინტერს" უპირატესობა აქვს.

პირველი ტაიმი თითქოს გაგრძელება იყო ორი კვირის წინანდელი მატჩისა, რომელიც გეხსომებათ, „ინტერმა" 5:1 მოიგო. „შავლურჯები" დიდი მონდომებით მიიკვლევდნენ გზას მეტოქის კარისკენ, რომლის დარაჯსაც სანტიაგო კანისარესს დიდი ოფლის ღვრა მოუხდა იერიშთა მოსაგერიებლად. მრავალ რთულ ბურთთა შორის, რომელთა მოგერიება ესპანელ მეკარეს მოუხდა, ურთულესი მაინც ობეფემი მარტინსისა იყო, ვინაც უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ძალიან ძლიერად დაარტყა, კანისარესი კი ამ ბურთსაც შეწვდა. დავძინოთ, რომ მარტინსის შემადგენლობაში ყოფნის გამო სათადარიგოთა სკამზე ყურყუტი მოუხდა კრისტიან ვიერის.

შესვენების მერე თამაშის სურათი არ შეცვლილა. „ინტერი" უფრო მეტს უტევდა, „ვალენსია" კი იმის მცდელობაში იყო, როგორმე ფრანსისკო რუფეტე გაჭრილიყო ფლანგიდან და რამეს გამორჩენოდა.

**ვერდერი 5:1 ანდერლეხტი**

1:0, 2:0 კლასნიჩი (2, 16), 2:1 იაშჩუკი (30), 3:1 კლოზე (33), 4:1 კლასნიჩი (79), 5:1 იენსენი (90)
**ვერდერი:** რაინკე, სტალტერი, ბაუმანი, ისმაელი, შულცი (დავალა უმითი 66), დ. იენსენი, ერნსტი, მანინი, მიკუ, კლოზე (ნ. ვალდესი 71), კლასნიჩი (ხარისტიასი 83)
**მწვრთნელი:** თომას შააფი
**ანდერლეხტი:** პეერსმანი, ჟევლაკოვი, ლ. ტრაორე, დე ბუკი, დეშახტი, ერე (ვანდენ ბორე 64), ჰასი (ზეტერბერგი 67), ბასეჯიო, ვილჰელმსონი, იაშჩუკი, დინდანე
**მწვრთნელი:** უგო ბროოსი
**გაფრთხილება:** ბასეჯიო, შულცი, ჰასი
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
**37 000 მაყურებელი**

ეჭვი გვაქვს, რომ „ანდერლეხტის" მეკარეს ტრისტან პეერსმანს ღამ-ღამობით კოშმარად მოელანდება „ვერდერის" ხორვატი ფორვარდი ივან კლასნიჩი.

ცხადია, რომ გერმანელები ჯგუფის უდავო აუტსაიდერთან ვერმოგებას საკუთარ თავს არ აპატიებდნენ და პირველივე წუთიდან სწრაფი გოლის იმედად შეუტიეს. გაუმართლათ — კლასნიჩმა მეორე წუთზე გახსნა ანგარიში, მეთექვსმეტეზე კი მეორეც გაიტანა.

ამგვარი დასაწყისის მერე ეჭვი აღარავის შეპარვია, რომ „ვერდერი" საწადელს მიაღწევდა და ეგრეც მოხდა, კლასნიჩმა დუბლი ჰეთ თრიქად აქცია, მიროსლავ კლოზემ და დანიელ იენსენმა თითოც მიამატეს და საქმეც გაკეთდა.

„ანდერლეხტს" კი რა? რატომღაც გვგონია, რომ ეს გუნდი ლიგას უქულოდ დაემშვიდობება, უმოტივაციო „ინტერთან" თუ ვერ გახდა რამეს. ბელგიელთა მწვრთნელ უგო ბროოსის კომენტარი კი ძალიან ჰგავს იმას, ხშირად ქართველი მწვრთნელებისგან რომ გვსმენია: „ბელგიის ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა საიმისოდ, რომ ევროთასზე მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიოთ".



ადრიანოს მუშტი-კრივი გაძევებად დაუჯდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| ვერდერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ვალენსია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

**V ტური: 24 ნოემბერი**
**ანდერლეხტი — ვალენსია**
**ვერდერი — ინტერი**

**კოტე კეკელია**

## H ჯგუფი

# ლომთა ღრიალი

**ცსკა 0:1 ჩელსი**

0:1 რობენი (24)
*ვაგნერმა ვერ გაიტანა პენალტი (47, ააცილა)*
**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, სემაკი (ოლიჩი 70), რ. გუსევი, კრასიჩი (ალდონინი 46), ჟირკოვი, იაროშიკი, რახიმიჩი, ვაგნერი (კირიჩენკო 82)
**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი
**ჩელსი:** პ. ჩეხი, ჯონსონი, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი (პ. ფერეირა 54), პარკერი (ტიაგუ 65), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, რობენი, გუდიონსენი (კეჟმანი 69)
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ
**გაფრთხილება:** ჯონსონი, კეჟმანი, ოლიჩი, შემბერასი
**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)
**30 000 მაყურებელი**

ესეც ლომები! ჟოზე მაურინიუმ მოსკოვში ცსკა-ს დამარცხების შემდეგ „ჩელსის" ფეხბურთელები სწორედ ასე, ლომებად მოიხსენია — რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის გუნდისთვის ჯგუფური ეტაპის დარჩენილი ორი თამაში უკვე ფორმალობაა. „ჩელსი" პირველ ადგილზეა, რასაც ვეღარაფერი შეეცილება. მოკლედ, ლომები ბრდღვნიან ყველაფერს, მათ რიცხვში ცსკა-საც.

შეხვედრის ერთადერთი გოლი კი პირველ ტაიმში ჰოლანდიელმა არიენ რობენმა ძალიან ტექნიკურად გაიტანა, რაზეც, მოსკოველებმა მხოლოდ ის პასუხი გასცეს, რომ ვაგნერ ლოვემ ლონდონელების კარს თერთმეტი მეტრიდან ააცილა.

„ჩვენ ლომებივით ვიბრძოლეთ და მიზანს მივაღწიეთ — თქვა მაურინიუმ — უკვე მეორე ეტაპზე ვარ. თან ჩვენ პირველები გავედით მეორე ეტაპზე, ასე რომ, პლეიოფში ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი შეგვხვდება.



REUTERS მოსკოვიდან

ცსკა — ჩელსი. არიენ რობენმა (მარჯვნივ) რუსებს გაუტანა და ბევრი თავსატეხიც გაუჩინა

დღეს კი ძალიან ინტენსიური თამაში გამოვიდა, ორივე გუნდი მაქსიმალური სისწრაფით მოქმედებდა. ჩემებიდან ბრწყინვალე გახლდნენ პეტრ ჩეხი, ჯონ ტერი და რიკარდუ კარვალიუ, რობენი კი გუნდს ახალი განზომილებით ამდიდრებს. იგი დიდებული ფეხბურთელია და დღეს ნათლად გამოჩნდა თუ რა გვაკლდა პირველი სამი თვის განმავლობაში.

რაც შეეხება პენალტს, არანაირი პრეტენზია არ მაქვს და. საერთოდ, მეორე ტაიმში ცსკა-მ ისე ითამაშა, რომ შესაძლოა ქულას იმსახურებდა კიდეც.

მაგრამ ჩვენი შემდეგ ეტაპზე გასვლა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ჩემპიონთა ლიგაში უდარდელები ვიქნებით. პირიქით, მინდა „პარი სენ ჟერმენი" და „პორტუ" გავაფრთხილო, რომ მათ ზუსტად იმავე „ჩელსისთან" მოუწევთ თამაში, როგორთანაც დღეს ცსკა-მ ითამაშა".

რუსთა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა კი ბრძანა, რომ მისი გუნდი დამარცხებას არ იმსახურებდა.

„ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. დიდებული გამოცდილებაც შევიძინეთ. ორივე შეხვედრაში „ჩელსიმ" იმიტომ გვაჯობა, რომ ცსკა-ს ახალგაზრდობა საერთაშორისო თამაშებში არ იყო გამოცდილი".

შემდეგ მოსკოველების მწვრთნელმა ბრძანა, რომ წინ კიდევ ორი მატჩია და მას იმედი აქვს, რომ ჯგუფში მეორე ადგილზე სწორედ ცსკა გავა.

**პორტუ 0:0 პსჟ**

**პორტუ:** ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ბოსინგვა, მანიშე, დიეგო (კარლოს ალბერტო 64), კვარესმა (პოსტიგა 78), დერლეი სილვა, მაკკარტი (უგო ალმეიდა 64)
**მწვრთნელი:** ვიქტორ ფერნანდესი
**პსჟ:** ლეტიზი, პიშო, პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, მბამი, ჩანა, ე. სისე (ბოშკოვიჩი 86), პანკრატი, კორიდონი (მენდი 74), პაულეტა (ლიუბოია 89)
**მწვრთნელი:** ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
**გაფრთხილება:** ჟორჟე კოშტა, კვარესმა, არმანი, მბამი, ჩანა, დერლეი სილვა, პედრუ ემანუელი
**მსაჯი:** სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
**30 210 მაყურებელი**

თამაშამდე „პორტუს" ესპანელი მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი ამბობდა, რომ მისი ფეხბურთელები მოედანზე საომრად გავიდონენ. ხუმრობა ხომ არ არის, იყო და კვლავაც არის საშიშროება იმისა, რომ პორტუგალიელები გახდებიან ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველნი, ვინც გაზაფხულზე თასი მოიგო, შემოდგომაზე კი პირველი ჯგუფური ეტაპი ვეღარ გადალახა. საბოლოოდ კი რა? ომი ომად და „პორტუსა" და „პარი სენ ჟერმენის" შეხვედრა მაინც 0:0 დასრულდა.

ვიქტორ ფერნანდესი: „ამიერიდან მეორე ეტაპზე გასვლის შანსი ჩვენზე აღარ არის თავიდან ბოლომდე დამოკიდებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორ დარჩენილ შეხვედრას მოვიგებთ, შესაძლოა, შეჯიბრებას გამოვეთიშოთ. ერთი ნამდვილია, 24 ნოემბერს მოსკოვში უნდა მოვიგოთ, ხოლო იმ მომენტისთვის ჯგუფი როგორ დალაგდება და რა იქნება, მერე გამოჩნდება.

დღეს კი „პარი სენ ჟერმენმა" ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ არ წაეგო. ჩვენ კი ყველაფერი ვილონეთ, რათა მოგვეგო. ერთი გოლი სრულიად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გატანა ვერ შევძელით".

ვაჰიდ ჰოლილჰოჯიჩი, პსჟ-ს მწვრთნელი: „ჩვენ პორტუში იმ მიზნით ჩამოვედით, რომ არ წაგვეგო. მინდა სიამყით განვაცხადო, რომ ძალიან ორგანიზებულებმა ვითამაშეთ და მასპინძლებს მხოლოდ ორი საგოლე მომენტის შექმნის საშუალება მივეცით".

მანიშე, „პორტუს" ნახევარმცველი: „გვინდოდა, რაც შეიძლებოდა მალე გაგვეტანა, მაგრამ არ გამოგვივიდა. სამწუხაროა, რომ ერთი გოლი, რომელიც ყველაფერს დაასრულებდა, არა და არ გავიდა".

**პაპუნა კიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 12 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| პსჟ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| პორტუ | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

**V ტური: 24 ნოემბერი**
**ცსკა — პორტუ**
**ჩელსი — პსჟ**

*ბუნდესლიგაში უცხოელ მწვრთნელთა რაოდენობა დიკ ადვოკაატით გაიზარდა — მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ხელმძღვანელებს დიდხანს არ უფიქრიათ ვინ უნდა მიეყვანათ ჰოლგერ ფახის ნაცვლად. არჩევანი იოლი გასაკეთებელი გამოდგა, ხოლო ის ფაქტი, რომ მიონხენგლადბახელებს უცნობ ან ნაკლებად სახელოვან მწვრთნელზე წამითაც არ უფიქრიათ, კლუბის ამბიციებზე მიუთითებს*




# ბორუსიამ ადვოკაატი არჩია

თავიდან ეგონათ, რომ „ბორუსიას“ მენეჯერი კრისტიან ჰოხშტეტერი არჩევანს მორტენ ოლსენზე, ლოთარ მათეუსზე ან რუდი ფიოლერზე შეაჩერებდა. ის კი არა, ერთი-ორჯერ ოტმარ ჰიცფელდიც კი ახსენეს, მაგრამ ერთკვირიანი მსჯელობის შემდეგ ხელში ადვოკაატი შერჩათ.

უცხოელთაგან ბუნდესლიგაში ჭიპმოჭრილი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი გახლდათ. ამ სეზონში „დორტმუნდში“ ბერტ ვან მარვიიკი მივიდა, ხოლო ახლა გასამდა.

ადვოკაატი 57 წლისაა. ჰოლანდიაში მას დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ცოტა ძველმოდურად მიაჩნიათ. ბუნებრივია, ევრო 2004-ზე ჩავარდნაც ბევრმა მას დააბრალა, ამბობენ, რომ მწვრთნელმა დიდებული ჰოლანდიელი ფეხბურთელების პოტენციალის სრულყოფილად გამოყენება ვერ შეძლო.

ადვოკაატმა სამწვრთნელო საქმიანობა 1984 წელს, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელის, რინუს მიხელსის თანაშემწის რანგში დაიწყო. შემდეგ მუშაობდა „ჰარლემსა“ და „დორდრეხტში“, 1992 წელს კი ისევ ნაკრებში, ოღონდ ამჯერად მთავარ მწვრთნელად.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ჰოლანდიელები მეოთხედფინალში გამოეთიშნენ შეჯიბრებას — მომავალ ჩემპიონებთან, ბრაზილიელებთან წააგეს 2:3. ადვოკაატი ნაკრებს დაემშვიდობა და 7 წლის შემდეგ ისევ მივიდა. შუალედში კი მწვრთნელი „ეინდჰოვენსა“ და გლაზგოს „რეინჯერსს“ წვრთნიდა.

**პაპუნა ძიძია**

# კიევის დინამო ტევესობაში ჩაერია

„ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა, მაურისიო მაკრიმ დაადასტურა, რომ მისმა კლუბმა კიევის „დინამოსგან“ კარლოს ტევესის ყიდვასთან დაკავშირებული ოფიციალური წერილი მიიღო. საინტერესოა, რომ მაკრის თქმით, ტევესის გამო ასეთი საინტერესო წინადადება „ბოკას“ ჯერ არ მიუღია.

„საბოლოოდ ჩამოყალიბებულ წინადადებას კიევიდან უახლოეს დღეებში ველით. ეს იქნება გაცილებით მნიშვნელოვანი პროექტი, ვიდრე ნებისმიერი, რომელიც სხვა კლუბებისგან მივიღეთ. კიეველები უკვე დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ვაჭრობასა და მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდათ ოფიციალური წერილით გაიმაგრონ პოზიცია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „დინამო“ ახალ სტადიონს აშენებს და უნდა დიდი გუნდიც ჰყავდეს, ხოლო საამისოდ ტევესის შეძენა ამოუჭრია გულში“.

შემდეგ „ბოკას“ პრეზიდენტმა დასძინა, რომ ერთადერთი სირთულე, რაც ფეხბურთელს შესაძლოა უკრაინაში დახვდეს, უკრაინული ენის არცოდნაა, მაგრამ მეორე მხრივ, ტევესმა არც გერმანული



იცის, „ბაიერნი“ კი ერთ-ერთ იმ კლუბთაგანია, ვინც მისი შეძენით ძალიან არის დაინტერესებული.

**პაპუნა ძიძია**

# ასეთი არავინ მინახავს
## დიდ ფილს დიდი ჯილდო რონალდინიოსთვის ემეტება



პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მხარი დაუჭირა თანამემამულეს, „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ნაკრების ვარსკვლავს რონალდინიოს, რომელმაც, მისი აზრით, წლეულს დამსახურებულად უნდა მიიღოს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება — შეგახსენებთ, რომ ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების გამოკითხვას ყოველი წლის ბოლოს ფიფა ატარებს.

სკოლარიმ რონალდინიოს ავანჩავანი მხოლოდ ტელევიზიით და ტრიბუნიდან რომ არ იცის, ესეც ფაქტია. „დიდი ფილი“ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი გახლდათ და 2002 წელს რონალდინიო და ამალა სწორედ მან მიიყვანა მსოფლიოს ჩემპიონის წოდებამდე.

„რონალდინიოზე უკეთესი კანდიდატი არავინ მეგულება — განაცხადა ფელიპაომ — ეჭვი არ მეპარება, რომ იგი ჯილდოს იმსახურებს. რონალდინიო უნიკალური ფეხბურთელია. ბურთს მისებრ რომ აკონტროლებდეს, დიდი ხანია არავინ მინახავს“.

**პაპუნა ძიძია**

## ფეხბურთის რუკასთან

**გერმანული** ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერს ეროვნული გუნდის თავკაცად არსენ ვენგერი ესახება. ერთ-ერთ რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში კაიზერ ფრანცმა განაცხადა: „ფიოლერის გადადგომის შედეგ არსენს ველაპარაკე და ვთხოვე, გერმანიის ფეხბურთის ასოციაციის წინადადება მიეღო. თუმცა მან მითხრა, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ამ სამუშაოს მთავაზობთ, მაგრმ „არსენალში“ ბედნიერი ვარ და ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებო. ვფიქრობ, ჩვენთვის ვენგერი იდეალური მწვრთნელია და იქნებ მომავალში მაინც ვითანამშრომლოთ“.

**ინგლისური** „ლივერპული“ დაშავებული ჯიბრილ სისეს შემცვლელს კვლავ ეძებს, ხოლო გასულ ზაფხულს გუნდიდან წასულმა ემილ ჰესკიმ კი „ენფილდ როუდზე“ დაბრუნების დიდი სურვილი გამოთქვა. „მართალია ახლა „ბირმინგემში“ ვთამაშობ, მაგრამ „ლივერპულს“ ბავშვობიდან ვქომაგობდი და იქ უდიდესი სიამოვნებით ვთამაშობდი. ამის შანსი ჟერარ ულიემ მომცა. მან დიდი ფეხბურთის კარი გამიღო. სამწუხაროდ, ბოლოს ძირითად შემადგენლობაში ველარ ვხვდებოდი და კლუბის გამოცვლა მომიხდა, თუმც მჯერა, რომ „ლივერპულში“ კიდევ დავბრუნდები“ — თქვა ჰესკიმ.

**ინგლისური** კლუბები, „ჩელსი“ და „მანჩესტერი“ უახლოეს მომავალში „ნიუკასლთან“ კირონ დაიერის ტრანსფერზე აპირებენ მოლაპარაკების დაწყებას. „კაჭკაჭთა“ ახალგაზრდა ნახევარმცველს რამდენიმე კლუბი დიდი ხანია უთვალთვალებს. ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „ნიუკასლი“ ნიჭიერ ფეხბურთელს 25 მილიონ გირვანქად აფასებს.

**ესპანური** „სარაგოსას“ არგენტინელმა ფორვარდმა ლუჩანო გალეტიმ საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთ: „ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. წინა ტურში „სევილიასთან“, რომელიც მეორე ადგილზეა და სერიოზული გუნდია, აუცილებლად მოგება გვჭირდებოდა და მივაღწიეთ კიდეც მიზანს, თანაც დამაჯერებლად. მართალია, ჩვენ საშუალო დონის გუნდი გვყავს და არც სათადარიგოთა სკამია დიდი, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება“.

**ინგლისური** „ჩელსის“ ყოფილი ნახევარმცველი ემანუელ პეტი ფეხბურთს უბრუნდება. 34 წლის ვეტერანს „არისტოკრატებთან“ კონტრაქტი შარშან ზაფხულს დაუმთავრდა და მას მერე არ უთამაშია. თუმცა ეს სრულებით არ აღელვებს „ბოლტონსა“ და მის თავკაც სემ ალარდაისს, რომელმაც კიდევ ერთი გამოცდილი და ასაკოვანი ფეხბურთელი გადაიბირა. „უკვე ჩემი ბიზნესი წამოვიწყე, თუმცა ალარდაისმა კონტრაქტი შემომთავაზა და მინდორზე დაბრუნება გადავწყვიტე“ — თქვა პეტიმ.

**არგენტინაში**, 14 ნოემბერს დიდი მატჩი გაიმართება — სახელოვან მეკარეს, პენალტებისა და საჯარიმო დარტყმების შემსრულებელ 39 წლის ხოსე ლუის ჩილავერტს ფეხბურთიდან გააცილებენ. ამ მატჩში ერთმანეთს არგენტინული „ველეს სარსფილდი“ და მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრები შეხვდებიან. აქვე ვთქვათ, რომ ჩილავერტი ბოლოს სწორედ „ველეს სარსფილდის“ ღირსებას იცავდა. მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებს კარლოს ბილარდო უთავკაცებს და მის გუნდში ივან სამორანო, კარლოს ვალდერამა, რენე იგიტა, ენცო ფრანჩესკოლი და ბოლივიელი მარკო ანტონიო ეჩებერია ითამაშებენ.

**ესპანური** „ესპანიოლის“ ლიდერი რაულ ტამუდო დაშავდა და თვენახევარი ვერ იბურთავებს. გულმოდგინე გაშუქებამ აჩვენა, რომ ტრავმა უფრო სერიოზულია, ვიდრე თავიდან ჩანდა და ძალიან წააგავს ორი წლის წინანდელს. საბედნიეროდ, ფეხი სხვა ადგილზეა დაზიანებული, თორემ უარესი იქნებოდა“ — აღნიშნა კატალონიელთა ექიმმა მიგელ სერვერამ.

## ინგლისი
### ჩემპიონატი
### XVII ტური

**კარდიფი 4:1 ვესტ ჰემი**
1:0 ლი (3), 2:0 ლედლი (16), 3:0 პერი (54), 3:1 პერვუდი (69პ), 4:1 მაკანუფი (77)

**კრიუ 2:2 ლესტერი**
| 19:00 | 844 | სპარტა-პლზენი | 1.45 | 4.6 | 4.1 | 1.1 | 1.07 | 2.16 |
| 19:00 | 845 | ტრჟინეცი-ზლინი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 19:00 | 846 | კლადნო-ლიბერეცი | 1.7 | 4.4 | 3.0 | 1.22 | 1.08 | 1.78 |
| 19:30 | 847 | კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| 19:30 | 848 | ზნოიმო-სლავია | 2.2 | 4.4 | 2.2 | 1.46 | 1.1 | 1.46 |
| 19:30 | 849 | დუკლა-პარდუბიცე | 3.5 | 4.4 | 1.55 | 1.94 | 1.07 | 1.14 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 855 | ზვოლენი-დუბნიცა | 1.1 | 6.5 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 3.58 |
| 19:00 | 856 | სკალიცა-ჟილინა | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 19:00 | 857 | სლოვანი-ნიტრა | 1.3 | 5.0 | 5.8 | 1.03 | 1.06 | 2.68 |
| 19:00 | 858 | ტრენჩინი-კოშიცე | 1.65 | 4.2 | 3.2 | 1.18 | 1.08 | 1.81 |
| 19:00 | 859 | მიკულაში-პოპრადი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 872 | მანჰაიმი-აისბარენი | 1.8 | 4.4 | 2.8 | 1.27 | 1.09 | 1.71 |
| 21:30 | 873 | კრეფელდი-ნიურნბერგი | 2.5 | 4.4 | 2.0 | 1.59 | 1.11 | 1.37 |
| 21:30 | 874 | დიუსელდორფი-ჰამბურგი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.11 | 1.59 |
| 21:30 | 875 | კასელი-ჰანოვერი | 1.9 | 4.4 | 2.7 | 1.32 | 1.11 | 1.67 |
| 21:30 | 876 | ინგოლშტადი-აუგსბურგი | 1.5 | 4.8 | 3.8 | 1.14 | 1.07 | 2.12 |
| 21:30 | 877 | ფრანკფურტი-იზერლონი | 1.5 | 4.8 | 3.8 | 1.14 | 1.07 | 2.12 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 891 | ცუგი-ამბრი | 2.2 | 4.4 | 2.2 | 1.46 | 1.1 | 1.46 |
| 21:45 | 892 | დავოსი-ფრიბურგი | 1.4 | 5.0 | 4.5 | 1.09 | 1.06 | 2.36 |
| 21:45 | 893 | ციურიხი-რაპერსვილი | 1.65 | 4.4 | 3.3 | 1.2 | 1.1 | 1.88 |
| 21:45 | 894 | ლუგანო-ბერნი | 1.65 | 4.4 | 3.3 | 1.2 | 1.1 | 1.88 |
| 21:45 | 895 | კლოტენი-ლანგნაუ | 1.9 | 4.4 | 2.6 | 1.32 | 1.09 | 1.63 |
| 21:45 | 896 | სერვეტი-ლოზანა | 1.5 | 4.5 | 3.9 | 1.12 | 1.08 | 2.08 |

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5017 | შტუტგარტი-ბენფიკა | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |
| 5018 | გრაცერი-ამიკა | 1,9 | 2,25 | 5,6 | 1,03 | 1,41 | 1,6 |
| 5019 | პარმა-სტიაუა | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |
| 5020 | პარტიზანი-ეგალეო | 1,8 | 2,3 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,66 |
| 5021 | უტრეხტი-დნიპრო | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5022 | ბეშიქთაში-ბილბაო | 2,9 | 2,0 | 3,4 | 1,18 | 1,56 | 1,25 |
| 5023 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,8 | 2,3 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,66 |
| 5024 | ჰართსი-შალკე | 4,6 | 2,05 | 2,3 | 1,41 | 1,53 | 1,08 |
| 5025 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,3 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,38 |
| 5026 | ლილი-ზენიტი | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5027 | აუსტრია-სარაგოსა | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5028 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 4,0 | 2,05 | 2,45 | 1,35 | 1,51 | 1,11 |
| 5029 | მიდლსბრო-ლაციო | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5030 | ალკმაარი-ოსერი | 3,0 | 2,0 | 3,3 | 1,2 | 1,57 | 1,24 |
| 5031 | სევილია-ალემანია | 1,45 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,07 |
| 5032 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,55 | 2,6 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,93 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 5417 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,45 | 2,8 |
| 5418 | გრაცერი-ამიკა | 1,4 | 3,0 |
| 5419 | პარმა-სტიაუა | 1,45 | 2,8 |
| 5420 | პარტიზანი-ეგალეო | 1,35 | 3,2 |
| 5421 | უტრეხტი-დნიპრო | 1,6 | 2,4 |
| 5422 | ბეშიქთაში-ბილბაო | 1,85 | 1,95 |
| 5423 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,35 | 3,2 |
| 5424 | ჰართსი-შალკე | 2,2 | 1,7 |
| 5425 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,1 | 5,0 |
| 5426 | ლილი-ზენიტი | 1,6 | 2,4 |
| 5427 | აუსტრია-სარაგოსა | 1,95 | 1,85 |
| 5428 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 2,0 | 1,8 |
| 5429 | მიდლსბრო-ლაციო | 1,65 | 2,3 |
| 5430 | ალკმაარი-ოსერი | 1,85 | 1,95 |
| 5431 | სევილია-ალემანია | 1,2 | 4,0 |
| 5432 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,25 | 3,7 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5117 | შტუტგარტი-ბენფიკა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5118 | გრაცერი-ამიკა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5119 | პარმა-სტიაუა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5120 | პარტიზანი-ეგალეო | 2,0 | 10,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5121 | უტრეხტი-დნიპრო | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5122 | ბეშიქთაში-ბილბაო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5123 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5124 | ჰართსი-შალკე | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5125 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,25 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,5 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |
| 5126 | ლილი-ზენიტი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5127 | აუსტრია-სარაგოსა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5128 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5129 | მიდლსბრო-ლაციო | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5130 | ალკმაარი-ოსერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5131 | სევილია-ალემანია | 1,5 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5132 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,6 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5517 | შტუტგარტი-ბენფიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | გრაცერი-ამიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | პარმა-სტიაუა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | პარტიზანი-ეგალეო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | უტრეხტი-დნიპრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ბეშიქთაში-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | დინამო(ზ)-ბევერენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ჰართსი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ლილი-ზენიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | აუსტრია-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | მიდლსბრო-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ალკმაარი-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | სევილია-ალემანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | სპორტინგი-პანიონიოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5317 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5318 | გრაცერი-ამიკა | 1,7 | 1,9 |
| 5319 | პარმა-სტიაუა | 1,7 | 1,9 |
| 5320 | პარტიზანი-ეგალეო | 1,75 | 1,85 |
| 5321 | უტრეხტი-დნიპრო | 1,7 | 1,9 |
| 5322 | ბეშიქთაში-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5323 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | ჰართსი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 5325 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,9 | 1,7 |
| 5326 | ლილი-ზენიტი | 1,75 | 1,85 |
| 5327 | აუსტრია-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 1,7 | 1,9 |
| 5329 | მიდლსბრო-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 5330 | ალკმაარი-ოსერი | 1,7 | 1,9 |
| 5331 | სევილია-ალემანია | 1,9 | 1,7 |
| 5332 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,9 | 1,7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|
| 5217 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5218 | გრაცერი-ამიკა | 1,85 | 1,75 |
| 5219 | პარმა-სტიაუა | 1,7 | 1,9 |
| 5220 | პარტიზანი-ეგალეო | 1,75 | 1,85 |
| 5221 | უტრეხტი-დნიპრო | 1,8 | 1,8 |
| 5222 | ბეშიქთაში-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 5223 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,9 | 1,7 |
| 5224 | ჰართსი-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 5225 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,95 | 1,55 |
| 5226 | ლილი-ზენიტი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | აუსტრია-სარაგოსა | 1,6 | 2,0 |
| 5228 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 1,8 | 1,8 |
| 5229 | მიდლსბრო-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ალკმაარი-ოსერი | 1,7 | 1,9 |
| 5231 | სევილია-ალემანია | 1,9 | 1,7 |
| 5232 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,9 | 1,7 |

# ჯანო ბაგრატიონი: ბედნიერი ვარ, რომ თავაწეული მივდივარ



**ჩვენში გამარჯვების შეფერება, ხოლო მარცხის სხვაზე გადაბრალება ხშირად სჩვევიათ, მაგრამ სპორტში ჩახედულმა კაცმა ალბათ იცის, თუ რაოდენი დიდი შრომა გასწია საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა იმ დიდ წარმატებაში, რასაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მივაღწიეთ. ოღონდ ათენში გავიმარჯვოთ და 2008 წელს პეკინის თამაშებზე ფეხით წავალო, ბატონი ჯანო ბაგრატიონის ოლიმპიადამდე რამდენიმე დღით ადრე ნათქვამი ეს სიტყვები ახლაც მახსენდება, როცა სეოკ-ის პრეზიდენტად კენჭისყრას აღარ აპირებს...**

— ბატონო ჯანო, მაინც, რას ნიშნავს თქვენთვის სპორტი?

— სიცოცხლეს. არასოდეს ვინანებ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სპორტს რომ დავუკავშირე. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სფეროებიდან მრავალი შემოთავაზება მქონდა, სპორტისთვის ზურგი არასოდეს შემიქცევია. ვთვლი, რომ სპორტი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი და სასიცოცხლო არტერია უნდა იყოს. სამწუხაროდ, იყვნენ და ყოველთვის იქნებიან პიროვნებები, რომლებსაც სპორტის მნიშვნელობა შეგნებული არ აქვთ. საკმარისია, ახლო წარსულში ქართულ სპორტში არსებულ ვითარებას გადავხედოთ და დავინახავთ, რომ იგი სათანადო დაფასებისგან შორს იყო, რაც ყოვლად დაუშვებელია.

— რვა წელიწადია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბრძანდებით. რა მოგცათ სეოკ-მა და როგორ შეაფასებდით თქვენს ნამოღვაწარს?

— თავის ქება არ მიყვარს, პირიქით, საკმაოდ თვითკრიტიკული ვარ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ სეოკ-ში ჩემს საქმიანობას უნაყოფო არ ეთქმის. ვაღიარებ, რომ გარკვეულ ეტაპზე შეცდომებიც მქონდა და ბევრი რამ გაუკეთებელიც დამრჩა, რადგან ოლიმპიურ კომიტეტში საკეთებელი არასოდეს გამოილევა.

რა თქმა უნდა, რვა წლის განმავლობაში ია-ვარდით მოფენილი გზა არ გაგვივლია, ბევრი პრობლემის წინაშეც ვმდგარვართ, მაგრამ მუხლჩაუხრელი შრომით ლელო მაინც გაგვიტანია. ყოველთვის დიდი სიყვარულით გავიხსენებ სეოკ-ის აპარატის წევრებს, გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს, რომელთა მხრებზეც დიდ სიმძიმეს გადაუვლია.

ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილის შემდეგ სეოკ-ის პრეზიდენტობა ორმაგი პატივი და პასუხისმგებლობა იყო. იქ მე ბევრი ვისწავლე და ეს სულაც არ მეთაკილება. სადაც უნდა ვიყო, სეოკ-ი ჩემთვის მუდამ მეორე სახლად დარჩება.

— იქნებ სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე თქვენს ყველაზე დიდ მიღწევასა და იმედგაცრუებაზეც გვითხრათ...

— აკი გითხარით, თავის ქება არ მიყვარს-მეთქი. რვა წელიწადი არც ისე ცოტა დროა და ამ ხნის განმავლობაში სიხარულიცა და სიმწარეც არაერთხელ მიგემია. განა არსებობს კი სამსახური, სადაც რამეზე გული არ დაგწყდება? 66 წლის კაცი ვარ და, რა თქმა უნდა, ჩემი მრავალწლიანი საქმიანობის განმავლობაში იმედგაცრუებაც მრავლად მქონია. სპორტში შეიძლება ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაწბილდე, მაგრამ მომავლის რწმენა არ უნდა დაკარგო. ადრე თუ გვიან საწადელს აუცილებლად მიაღწევ.

ცხელ გულზე ბევრჯერ მიფიქრია სპორტიდან წასვლა, გული მიკვდებოდა, როცა ქართულ სპორტს საშინელ დღეში ვხედავდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ნაბიჯი არ გადავდგი. მიხარია, რომ მის ბოლოდროინდელ წინსვლაში ერთი აგური მეც დავდე. შეიძლება იდეალური ხელმძღვანელი არ ვყოფილვარ, მაგრამ ვერავინ იტყვის ჯანო ბაგრატიონმა სეოკ-ს ავნო და საქმეს უგულოდ აკეთებდაო.

ვისაც სპორტის სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, მიხვდება, თუ რას განვიცდიდი, ქართულ სპორტს გაუბედურებულსა და მომაკვდავს რომ ვხედავდი. ხშირად სასოწარკვეთამდეც კი მივსულვარ. ამაზე მეტი ტკივილი და იმედგაცრუება რაღა უნდა ყოფილიყო.

მოხარული ვარ, რომ დღესდღეობით ვითარება რადიკალურად სასიკეთოდ შეიცვალა და სპორტიც ფეხზე დგება. ამაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, ოლიმპიურ ფონდს და ბადრი პატარკაციშვილს მიუძღვის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართული სპორტის შენარჩუნება მისი დამსახურებაა. ორი წლის წინათ, როდესაც ფაქტობრივად უფსკრულში გადაჩეხვის პირას ვიდექით, სეოკ-ის ინიციატივით და აქტიური ძალისხმევით, რასაც ბატონი ბადრის კეთილი ნებაც დაერთო, დაარსდა ოლიმპიური ფონდი. სწორედ ამას მივიჩნევ სეოკ-ში ჩემი მოღვაწეობის უმთავრეს მიღწევად.

**— ბატონო ჯანო, გვითხარით, ელოდით ოლიმპიადაზე ასეთ კარგ შედეგებს და ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ქართველ სპორტსმენთა მაქსიმუმი იყო?**

— პესიმისტი არ ვარ, თუმცა არც ილუზიებით შეპყრობილი ვყოფილვარ ოდესმე. ყველაფერს რეალური თვალით ვუყურებ და გულწრფელად ვამბობ, რომ ათენური წარმატების მჯეროდა. თუ 1952 წლიდან მოყოლებული ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა შედეგებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ უმედლოდ არასდროს დავრჩენილვართ. ჰოდა, ღმერთი რაღა ახლა გაგვიწყრებოდა? საბედნიეროდ, ჩვენი და მთელი ერის მოლოდინი გამართლდა.

მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ჩვენი მაქსიმუმი იყო. აბა, ვინ წარმოიდგენდა ელდარ კურტანიძის უმედლოდ დარჩენას? ჩემი აზრით, მინიმუმ ერთ ოქროს მედალს კიდევ ვიმსახურებდით, მაგრამ ათენის ოლიმპიადამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სპორტი სიურპრიზებითაა აღსავსე.

**— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ათენური წარმატებები?**

— ეს იყო სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ოლიმპიური კომიტეტის, ყველა სპორტული სტრუქტურის, სამედიცინო ჯგუფის ოთხწლიანი ტიტანური და, რაც მთავარია, ნაყოფიერი მუშაობის ლოგიკური შედეგი. რა თქმა უნდა, ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ დაინახო ის ფასდაუდებელი წვლილი, რაც ოლიმპიურმა ფონდმა გასწია. მან ფაქტობრივად ქართული სპორტი მკვდრეთით აღადგინა და ქართული სპორტის ათენში წარმატების უმთავრესი შემოქმედიცაა. მიხარია, რომ ის სიკეთე, რაც ბადრი პატარკაციშვილმა დათესა, დაუფასდა.

**— რას ნიშნავს სეოკ-ისთვის პირველი დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიური ოქრო?**

— არა მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტი, მთელი საქართველო 12 წელიწადს ელოდა ამ დიდ სიხარულს. მართალია, თამაშებს ვერ დავესწარი, მაგრამ სულით და გულით ჩვენს სპორტსმენებთან ერთად ვიყავი. ყელში ბურთი გამეჩხირა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როდესაც ხუთჯვრიანი დროშა აღიმართა და საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. დარწმუნებული ვარ, იმ დღეებში მთელი საქართველო ჩემსავით იყო.

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ოქტომბერში დაარსებიდან საიუბილეო — 15 წელი შეუსრულდა და იმაზე უკეთესი საჩუქარი, ვიდრე ორი ოლიმპიური ოქროა, რაღა უნდა გვენატრა. ბედნიერი ვარ, რომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტს თავაწეული, გამარჯვებული და ამაყი ვტოვებ.

**— ბოლოს, რას უსურვებდით და ურჩევდით თქვენს მემკვიდრეს?**

— არ არის აუცილებელი სეოკ-ის პრეზიდენტი წარსულში გამოჩენილი სპორტსმენი იყოს. მთავარია მას სპორტი უყვარდეს, ორგანიზაციული ნიჭი ჰქონდეს და საქმის სწორად მართვა შეეძლოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენში მრავლად არიან პიროვნებები, რომლებსაც შეუძლიათ სეოკ-ის ღირსეული ხელმძღვანელობა, მაგრამ დღესდღეობით ოლიმპიური კომიტეტის მესაჭედ ბადრი პატარკაციშვილზე უკეთეს და საჭირო პიროვნებას ვერ ვხედავ. ამიტომაც იყო, რომ მის კანდიდატურას სეოკ-ის აღმასკომი ერთსულოვნად დაეთანხმა და ალბათ სესიაც ამასვე იზამს.

2008 წელს პეკინში ჩვენი დევიზი იქნება „უკეთ, ვიდრე ათენში“. მჯერა, რომ ყველანი ერთად არაერთ წარმატებას მივაღწევთ.

**ბახა ბერიძე**



ბადრი პატარკაციშვილი და ემზარ ზენაიშვილი

# ჰაკეტის ფილტვის საიდუმლო



**მოცურავეები** სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან შედარებით, ჩვეულებრივ, ფილტვების დიდი მოცულობით გამოირჩევიან. ამიტომაც ისინი წარმოუდგენელ დატვირთვებს უძლებენ, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი და არც მოცურავის ფილტვია მიშელინის საბურავივით უცვეთი.

ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავსტრალიელ მოცურავეს, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენ გრანტ ჰაკეტს ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ფილტვები გახეთქვია, რაც დღემდე საიდუმლოდ შეუნახავს. მეტიც, მას ისე გაუვლია მკურნალობის კურსი, რომ ამის შესახებ ავსტრალიის ნაკრების სამედიცინო შტაბისთვისაც კი არ უცნობებია. ამიტომაც ახლა ფანტასტიკურად ჩანს ის ოქროს მედალი, რომელიც გრანტ ჰაკეტმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა. მით უმეტეს, რომ მან ეს შეძლო ოლიმპიური პროგრამის ყველაზე გრძელ დისტანციაზე — 1 500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

„საქმე ძალზე სერიოზულად იყო — ამბობს გრანტ ჰაკეტი — ჩემი ფილტვები პრაქტიკულად დაიბლოკა. მე არ შემეძლო სრულფასოვნად სუნთქვა. ამასთან, სხვა უხერხულობასაც განვიცდიდი. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ შეჯიბრების დაწყებამდე განვიკურნე, მაგრამ მხოლოდ ორი კვირის წინ გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ სრულიად ჯანმრთელი ვყოფილვარ.“

ჰაკეტის მწვრთნელის თქმით, მისი შეგირდი ოლიმპიური თამაშებისას ვერ იყენებდა თავისი ფილტვების შესაძლებლობების 25 პროცენტს. „ჩვენ ამის თაობაზე არავის ვეუბნებოდით. მეტიც, ჩვენ უფლებაც კი არ მივეცით, რომ მოცურავე სრულად გამოეკვლიათ“ — თქვა მწვრთნელმა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




კობი ბრაიანტი: აბა, უშაკილონილოდ მნახეთ, ვინა ვარ!

# შაქიტიშვილოდ

2 ნოემბერი

**დეტროიტი 87:79 ჰიუსტონი**

დეტროიტი: რ. ვოლესი (24), ბილაფსი (17), ბ. ვოლესი (15), ჰამილტონი (15)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (19), ვორდი (13), ტეილორი (12)... მინგი (7 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი 89:78 დენვერი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (25), მიმი (23 ქულა, 12 მოხსნა), ბატლერი (11)
დენვერი: ენტონი (20), მარტინი (13)... კემბი (8 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება)

**დალასი 107:98 საკრამენტო**

დალასი: ნოვიცკი (33 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი), ფინლი (18), დამპიე (11)
საკრამენტო: მილერი (24), ვებერი (21 ქულა, 10 მოხსნა), ბარნესი (17), სტოიაკოვიჩი (12)

**რეგულარული** ჩემპიონატიც დაიწყო! მართალია, ჯერ მხოლოდ სამ ქალაქში, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია მალე გაშლის ფრთებს და ნამდვილი კალათბურთი სიყვარულის მდინარესავით წამოვა.

სამივე ქალაქში სულ დარჩეული გუნდები შეებნენ ერთმანეთს, მთავარ ამბები კი ავტოქალაქ დეტროიტის 22-ათასიან და, რა თქმა უნდა, პირთამდე გადავსებულ „ობურნ ჰილზში" ხდებოდა. 2003-04 წლების სეზონის ჩემპიონმა „დეტროიტ პისტონიზმა" მეტოქედ „ჰიუსტონ როკიტსი", წინა სეზონში კარგი ბიჭობისთვის კი ოქროს ბეჭდები მიიღო.

ჩემპიონთა დაჯილდოვება მატჩამდე შედგა. ეს ამბავი ნბა-ს პატრიარქის დევიდ შტერნის გარეშე, აბა, როგორ ჩაივლიდა და მანაც იმ 9 დეტროიტელს, რომლებიც ამ „პისტონზს" საჩემპიონო გუნდიდან გადმოჰყვა, ოქროთი მოჩუქურთმებული შავი ბეჭდები გადასცა.

თავისთავად სიტყვებიც მოჩუქურთმებული ითქვა. 2004 წლის პლეი ოფის ერთ-ერთმა გმირმა რიპ ჰამილტონმა მიკროფონში დასჭექა — ყველანი იმდენი ხანი ველოდით ამ დღეს, რომ როცა ეს დადგა ყველაფერი დავივიწყეთ, თვით თამაშიც კიო.

მაგრამ ამ საყოველთაო ეიფორიას და სიჩუმის შემდეგ აქუხებულ ტაშს სულაც არ დაუბნევია ჩემპიონები. „დეტროიტს" არც თამაში დავიწყებია და არც მეტოქის რბევა — „ჰიუსტონს" იმ დღეს შანსი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სამი მეოთხედი ტოლ-სწორად ებრძოდა ნბა-ს საუკეთესო გუნდს.

არადა, წელს „ჰიუსტონისგან" ბევრს ელიან. გუნდს, რომელსაც ფარქვეშ ამხელა და ასე ყოჩაღი იაო მინგი უდგას და აგრეთვე, ახლახან აუყვანია ლიგის პირველმექულე ტრეისი მაკგრეიდი, ვინ სულელი ჩამოწერს? დევშაკის „ლეიკერსიდან" წასვლის და ონილ-ბრაიანტის დუეტის გახლეჩვის შემდეგ სწორედ მაკგრეიდი-მინგის წყვილს მიიჩნევენ ყველაზე მოუხელთებლად. მაგრამ „დეტროიტთან" მათ არაფერი გაუვიდათ — მაკგრეიდიმ თამაშიდან 18 სროლიდან 12 ააცილა და მხოლოდ 18 ქულა გააკეთა „ჰიუსტონში" სადებიუტო მატჩში, 226-სანტიმეტრიანმა მინგმა კი ბარე 20 სანტიმეტრით დაბალ ბენ ვოლესს ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრა — თამაში 7 ქულით დაასრულა. „კი ბატონო, მათ ლიგაში საუკეთესო დუეტი ყავთ, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ საუკეთესო ხუთეული გვყავს" — ისევ ჰამილტონი.

ახლა „ლეიკერსზეც": შაკილ ონილის „მაიამიში" გადაბარგების შემდეგ ბოლო ხუთ წელიწადში სამჯერ გაჩემპიონებული გუნდი, შესაძლოა, ძველებურად „საზარელი" არ იყოს, მაგრამ არც უშაკოდ ჩანს ბეჩავი. გვარიანად მოძლიერებულ „დენვერს" კობი ბრაიანტიც გასწვდა. კობის მოულოდნელად მხარი აუბა შაკილის ადგილზე მოთამაშე კრის მიმმა. ეს წოწოლა თეთრი ჯეელი რამდენიმე წელია, გუნდიდან გუნდში მოგზაურობს და თავისი ალაგი, მგონი, „ლეიკერსში" იპოვა. სადებიუტო მატჩში 23 ქულაზე და 12 მოხსნაზე, არავინ იტყოდა უარს.

რაც შეეხება „დენვერის" ქართველ ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილს, მის გვარს განაცხადში ამაოდ დაუწყებთ ძებნას.

პირველი დღის მესამე მატჩის გმირი დალასელი დირკ ნოვიცკი გახლავთ, ვინაც „საკრამენტო კინგზი" 33 ქულით დაბომბა და აშკარად დაჩაგრა ოპონენტი სნაიპერი პრედრაგ სტოიაკოვიჩი.

**კოტე ყორშია**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, პირადად ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ
თბილისის ყოფილი მერის, საკრებულოს წევრის
**ბადრი შოშიტაიშვილის**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

# იპოვეთ განსხვავება

## პორტერი ციფრებს უყურებს, რჩეულს ვერ ხედავს



**დღეს,** გამთენიისას, „მილუოკიმ" სეზონის გახსნის მატჩი ითამაშა „ორლანდო მეჯიქის" წინააღმდეგ და ეგებ იცით კიდეც, იყო თუ არა ზაზა ფაჩულია ხუთეულში. აი, გუშინწინ კი (და მანამდეც), ამ საკითხზე თავს იმტვრევდა მილუოკური პრესა, რაკი „ხარირემთა" მწვრთნელ ტერი პორტერს ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, ვის ჩასვამდა ხუთეულში.



სახელდებოდა ოთხი კანდიდატი — დან გაძურიჩი, ზაზა ფაჩულია, დანიელ სანტიაგო და ზენდონ ჰამილტონი — რომელთაგანაც ეს უკანასკნელი ფეხის ტრავმის გამო იმთავითვე ირიცხებოდა სათვალავიდან.

„პორტერი რთული არჩევანის წინაშე დგას და ამიტომაც მიიყვანა საქმე ბოლო წუთამდე. მას ალბათ მაინც გაძურიჩსა და ფაჩულიას შორის მოუწევს სასტარტო ცენტრის არჩევა" — წერს „ჯორნალ სენტინელი".

მთავარი მსაჯული პორტერი კი აი, რას ამბობს: „ძირითადი ცენტრის პოზიციაზე არჩევანის გაკეთება მე ისეთი ხალხისგან მიწევს, რომლებსაც ძირითადში თამაშის ნაკლები გამოცდილება აქვთ. გაძურიჩი მესამე წელია, ნბა-შია, მაგრამ დიდი ხნით ის მოედანზე არასდროს გადიოდა, ზაზა ფაჩულია კი ჯერაც ძალიან ახალგაზრდაა და წინა სეზონში საშუალოდ 13 წუთსაც არ თამაშობდა. სანტიაგოს რაც შეეხება, ის წინა სეზონშიც ჩვენთან იყო და იშვიათად უწევდა მოედანზე გასვლა. ამიტომაც დიდი დაფიქრებაა საჭირო, რაკი არც ერთს არა აქვს ძირითადში თამაშის გამოცდილება. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მათგანს უდიდესი მოტივაცია გააჩნია და რომ მივენდო, მაქსიმუმს დადებენ მოედანზე."

პორტერის თქმით, ის იმ ცენტრს მიენდობა, რომელიც მზად იქნება, პირველივე წუთიდან ჩაერთოს თამაშში და რიტმიდან არ ამოვარდეს. ამისთვის სისწრაფეა საჭირო, რასაც დან გაძურიჩი არ უჩივის; სამაგიეროდ, ფაჩულიას ფიზიკური ძალა მოსჭარბებია და ეს ფაქტორიც ერთ-ერთი უმთავრესია მეჭვარისთვის. ჟურნალისტები ფაჩულიას მინუსად უთვლიან ჯარიმის ზღვარზე თამაშს — თუნდაც „მემფისთან" ბოლო საგამოფენო მატჩში მან 13 წუთში „მოახერხა" 6 ჯარიმის მიღებაო.

ამერიკელები ბოლოს, ტრადიციულად, სტატისტიკას იშველიებენ: გაძურიჩს საგამოფენო მატჩებში საშუალოდ 21,5 წუთში 4,5 ქულა და 6 მოხსნა მოუხვეჭია, ფაჩულიას კი 22,4 წუთში 9,8 ქულა და 6 მოხსნა.

ხედავთ განსხვავებას? იმედია, პორტერიც დაინახავს.

**ირაკლი პერტაია**

# ვინც მოითმენს, ორ მილიონს მოიგებს

## პარკერის დოლარისფერი სიზმრები



„სან ანტონიოს" თავკაც გრეგ პოპოვიჩს ტონი პარკერის დაყოლიება 66 მილიონი დაუჯდა

**მულატმა ფრანგმა** გამთამაშებელმა ტონი პარკერმა კვირას საღამოს როგორც მილიონერმა, ისე დაიძინა. აი, ორშაბათ ღამეს კი მას ალბათ ახალ-ახალი ვილები, იახტები და ვინძლო აერობუსიც ესიზმრებოდა, რაკი დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე „სან ანტონიო სფურზთან" ისეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის ძალითაც მომავალი ექვსი წლის მანძილზე 66 მილიონ დოლარს მიიღებს.

ორშაბათი იყო კონტრაქტგასრულებული მოთამაშეებისთვის ხელახალი ხელშეკრულების გასაფორმებად დაშვებული უკანასკნელი დღე, იგივე „დედლაინი", რომლის გასრულებამდე საათებით ადრე „სან ანტონიომ" შეინარჩუნა მკვირცხლი და ამერიკულ კალათბურთს იდეალურად მორგებული ევროპელი, რომელსაც ერთი კვირის წინ 64 მილიონი შესთავაზა ექვს წელიწადში. პარკერმა იუარა, რაკი იცოდა, რომ ტეხასელებს ის უფრო ძვირად ულირდათ და ამ ტაქტიკური თავდაფასებით პირად სალაროში კიდევ ორი მილიონის შეკვრები დადო.

22 წლის ფრანგი გამთამაშებელი „სან ანტონიომ" 2001 წლის დრაფტზე 28-ე ნომრად აიყვანა, მაგრამ პარკერმა მერე ყველას დაანახა, რომ ხუთეულში არჩევის ღირსიც იყო. „სან ანტონიოში" ნათამაშები 234 შეხვედრიდან ტონი მხოლოდ ხუთში არ ყოფილა დამწყებ ხუთეულში და ამ სამი წლის განმავლობაში მას საშუალოდ 16 ქულა მოუგროვებია თითოეულ მატჩში.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**BNP PARIBAS MASTERS**
პარიზი. ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო 2,425 მილიონი $

**პირველი წრე**

**სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:5, 6:2; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2, 7:6 (7:2); **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 (7:3), 6:4

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) — გაელ მონფი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ტიმ ჰენმანი** (3, ბრიტანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 6:3, 6:4; **ანდრეი პაველი** (11, რუმინეთი) — მარდი ფიში (აშშ) 7:6 (7:3), 6:4; **ტომი ჰაასი** (18, გერმანია) — ქსავიე მალისი (ბელარუსი) 6:1, 7:6 (7:1)

# ჰიუიტის თვრამეტიანი

**ლეიტონ ჰიუიტი** უკვე ზედიზედ მე-18 ტურნირია, პირველ შეხვედრას არ თმობს. ამ ჯერზე მან უსახელო ფრანგ კვალიფიკანტ გელ მონფის აჯობა, თუმცა ანგარიშიდანვე დაატყობდით, ეს არც ისე იოლად გამოუვიდა. მონფი თავადაც არ ჩანს ურიგო ყმაწვილი, ხოლო ადგილობრივი პუბლიკის გამაყრუებელი ყიჟინის თანხლებით მეორე სეტში სულაც ჩაუქობაც კი დაიწყო. მაგრამ პირველი გათამაშებიდან საათისა და 53 წუთის თავზე მაინც გამოცდილებამ იძალა და კისკასმა ოზბიჭმა მესამე წრისკენ გაივაკა.

ჰიუიტისგან განსხვავებით საათს მხოლოდ სამი წუთით გადააჭარბა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა, ვინაც მეშვიდე მატჩში უკვე მეექვსედ აჯობა ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანს. იმარჯვა შარშანდელმა ფინალისტმა ანდრეი პაველმაც — ის ათენის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსან მარდი ფიშს გასცდა. ტომი ჰაასს კი საათიც არ დასჭირვებია ქსავიე მალისთან მერვე საკარიერო დაპირისპირებაში მეექვსე გამარჯვების მოსაპოვებლად. ჰაასს ყველანაირი შანსი აქვს, რომ სეზონის „ყველაზე მაგრად დაბრუნებული მოთამაშის“ წოდება მიიღოს. შეგახსენებთ, რომ მთელი წინა წელი მას მარჯვენა მხრის ტრავმის გამო გაუცდა.

**ლევან ძელაურაძე**



ლეიტონ ჰიუიტი






# კაცთევზობის რეკორდი: 171!

**სახიფათო** ხელობაა აკვალანგისტისტობა. კაცმა შეიძლება, ჩაყვინთოს და უკან ველარ ამოყვინთოს. 30-100 მეტრის სიღრმეზე იგი, ჩვეულებრივ, ჭკუიდან იშლება, უკვე შეურაცხად მდგომარეობაში აგრძელებს ყვინთვას და იღუპება. და საერთოდ, იშვიათად შეგხვდება აკვალანგისტი, ვინც 30-40 მეტრ სიღრმეზე ყვინთავს, რაც სიცოცხლისთვის მეტად სახიფათოა.

უფრო რთულადაა საქმე უაკვალანგოდ ყვინთვისას. ასეთ შემთხვევაში სადღაც 17 მეტრის სიღრმეზე ადამიანი ჩვეულებრივ კონტროლს კარგავს და ეგრეთ წოდებული „სიღრმის სიმთვრალე“ ეწყება. ამიტომაც ამ 20 წლის წინათ ყვინთვაში მსოფლიოს რეკორდების ოფიციალურად აღრიცხვა აიკრძალა. ყვინთვა მხოლოდ კვლევისა და ექსპერიმენტებისთვის უნდა ტარდებოდესო, ასეთი იყო მაშინ ვერდიქტი.

მაგრამ ადამიანები უაკვალანგოდ ყვინთვას მაინც არ ეშვებიან და სულ უფრო წარმოუდგენელ სიმაღლეებს, უფრო სწორად, სიღრმეებს აღწევენ. სწორედ ასეთი ფანტასტიკური რეკორდის ავტორი შეიქნა ფრანგი მყვინთავი ლუ ლეფერმი. შაბათს მან ხმელთაშუა ზღვაზე ვილეფრანშ-სიურ-მერის რეიდზე უაკვალანგოდ ისკუპა წყალში და 171 მეტრამდე ჩაყვინთა. ამგვარად, მან 9 მეტრით გააუმჯობესა კუბელი ფრანსისკო როდრიგესის მიღწევა.

ლეფერმმა, რომელიც მაისიდან სპეციალური პროგრამით ვარჯიშობდა, ამ სიღრმემდე 2 წუთზე ნაკლებ დროში ჩააღწია, სულ კი წყალქვეშ ყოფნა 3 წუთი და 15 წამი მოუხდა.

**ავთანდილ ტყვიშელი**

**ქართული სპორტის ფოტოისტორია**

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.



# საფორმულო მიდი-მოდი
# უილიამსი ბიჭებს სინჯავს

**თითქმის** ორთვიანი საყოველთაო შებულების მიუხედავად, საპირველფორმულო სამყაროში რალაც-რალაცეები, ცხადია, მაინც ხდება. უმეტესად საქმე პილოტების გადასვლა-გადმოსვლას ეხება.

ყველაზე დიდი ხმაური „უილიამსის“ გარშემოა ატეხილი. სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბო ორივე მრბოლმა დატოვა — ხუან პაბლო მონტოია „მაკლარენმა“ გადაიბირა, ხოლო რალფ შუმახერმა „ტოიოტა“ ირჩია.

მონტიმ ოთხწლიანი უილიამსური კარიერა ისე დაასრულა, მისი შეფი უკეთესს ვერც ინატრებდა. კოლუმბიელმა ბრაზილიაში ყველას აჯობა, რაც სან პაულუშიც და წლევანდელ სეზონშიც მისი პირველი ტრიუმფია. 29 წლის პილოტმა გამარჯვება სწორედ თავის ინგლისელ ბოსს მიუძღვნა:

„ძალიან მიხარია, „უილიამსში“ მუშაობა ამგვარად რომ დავასრულე. მინდა, ფრენკს ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადავუხადო და ეს მოგება მას ვუძღვნა. სეზონის და გუნდში ყოფნის ფინიში არაჩვეულებრივი, დაუჯერებელი გამოვიდა.“

უილიამსიც, რა თქმა უნდა, გაახარა წლეულს ერთადერთმა გამარჯვებამ და თუმც მონტოიას წასვლას კარგა ხანია, შეგუებული იყო, დღესაც ვერ ემეტება გასაშვებად:

„ბრაზილიაში ხუან პაბლოს მოგება მთელი გუნდისთვის მძიმე სეზონის შესანიშნავი დასასრული იყო. ეს იდეალური ჯილდოა გროუვსა და მიუნხენში ჩვენი ქარხნების ყველა თანამშრომლის ერთგულებისა და თავდადებული მუშაობისთვის. ძალიან მწყდება გული, რომ ასეთი ნიჭიერი მრბოლი „BMW-უილიამსს“ ტოვებს და ჩვენი კონკურენტების გუნდში გადადის.“

2005 წლის ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა 3 მარტია, თუმც ყველა ბოსი ცდილობს, შემადგენლობის პრობლემა ახლავე მოაგვაროს.

სერ ფრენკმა უკვე გაუფორმა კონტრაქტი 28 წლის ავსტრალიელ მარკ ვებერს, რომელიც განვლილ სეზონში „იაგუარის“ ღირსებას იცავდა და 7 ქულით საბოლოოდ მე-13 ადგილზე გავიდა, თუმც ამ არასახარბიელო პოზიციის მიუხედავად, მწვანეკონტინენტელ პილოტზე ტაციაობა იყო.

მეორე მძღოლის ადგილი კი ვაკანტური გახდა მას შემდეგ, რაც ჯენსონ ბატონის პრაქტიკულად გადაწყვეტილი ტრანსფერი ჩაიშალა. ბატონის საქმე გაჩარხული ჩანდა, მაგრამ BAR-ის ადვოკატებმა მის კონტრაქტში ერთი-ორი ისეთი პუნქტი გამოჩხრიკეს, რამაც „მომავლის ჩემპიონის“ უილიამსის საჯინიბოში გადასვლა ერთი წლით გადაავადა.

კანდიდატები ბლომად არიან — „უილიამსის“ ტესტ-მძღოლი, ბრაზილიელი ანტონიო პიცონია, გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი, „მაკლარენიდან“ მოხსნილი შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი და ნუ გაგიკვირდებათ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და სამი წლის წინ პენსიაზე გასული ფინელი მიკა ჰაკინენი. თუმც ეს ვარიანტი ყველაზე ნაკლებ სავარაუდოა.

მაინც დაველოდოთ...

**გია ახალაძე**




მარკ ვებერმა „უილიამსი“ გაინაღდა. სხვებმა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნუხელ

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**დეპორტივო 0:1 ლივერპული**

0:1 ჟორჟე ანდრადე (14ს.კ.)
დეპორტივო: მოლინა, ექტორი (სკალონი 66), მ. სესარი (პაბლო ამო 46), ჟორჟე ანდრადე, რომერო, ვიქტორი, დუშერი, სერხიო, ვალერონი, ლუკე, პანდიანი (ტრისტანი 59)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (ხაბი ალონსო 90), ჰამანი, ბიშკანი, რიისე, კიუელი (ფინანი 58), ბაროში (სინამა-პონგოლე 85)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: სესარი, ბიშკანი, ჟორჟე ანდრადე, ჰიიპია, კარაგერი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
24 000 მაყურებელი

**ოლიმპიაკოსი 1:0 მონაკო**

1:0 შურერი (84)
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (გეორგატოსი 70), ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, ჯორჯევიჩი (მარიჩი 65), ჯოვანი (კასტილიო 65), ოკასი
მწვრთნელი: დუშან ბაჟევიჩი
მონაკო: რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ბერნარდი (დ. პერესი 81), ზიკოსი, პლასილი, კალონი (ფარნერუდი 62), სავიოლა, ადებაიორი (ჩევანტონი 72)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
გაფრთხილება: პანტოსი, პლასილი, ევრა, სკილაჩი, სტოლტიდისი, გეორგატოსი, კასტილიო
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
33 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| დეპორტივო | 4 | 0 | 2 | 2 | 0:3 | 2 |

V ტური: 23 ნოემბერი
მონაკო — ლივერპული
ოლიმპიაკოსი — დეპორტივო

### B ჯგუფი

**რომა 1:1 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (82), 1:1 მონტელა (90)
რომა: ძოტი, სარტორი (კივუ 63), მექსეში, დელასი, კუფრე, მანსინი, დე მარტინო, აკილანი, დაგოსტინო (მიდო 63), ტოტი, მონტელა (კორვია 90)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლევერკუზენი: ბუტი, ბალიტჩი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, შნაიდერი (ფრაიერი 87), პონტე (კალსენ-ბრაკერი 90), ბაბიჩი, რამელო, კრჟინოვეკი, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ბალიტჩი, მონტელა, პლასენტე, მექსეში, ტოტი, რამელო, პონტე, ფრაიერი
მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
0 მაყურებელი

**დინამო 2:2 რეალი**

1:0 იუსუფი (13), 2:0 ვერპაკოვსკისი (23), 2:1 რაული (38), 2:2 ფიგუ (443)
დინამო: შოვკოვსკი, როდოლფო, საბლიჩი, გავრანჩიჩი, ელ კადური (ნესმაჩნი 65), რინკონი, გიოანე, ო. გუსევი (ლეკო 84), იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი (ჩერნატი 76)
მწვრთნელი: იოჟეფ საბო
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სოლარი 90), გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო (მორიენტესი 87), ოუენი (სელადესი 59)
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: რინკონი, გიოანე, ვერპაკოვსკისი, როდოლფო, იუსუფი, ფიგუ
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
83 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| რომა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | 1 |

V ტური: 23 ნოემბერი
რეალი — ლევერკუზენი
დინამო — რომა

### C ჯგუფი

**ბაიერნი 0:1 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (90)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (გიორლიცი 46; შოლი 69), ლუსიო, რობერტ კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი (გერერო 90), ფრინგსი, ბალაკი, შვაინსტაიგერი, ჰარგრივსი, მაკაი, პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
იუვენტუსი: ბუფონი, პესოტო, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კამორანეზი, კანავარო
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
59 000 მაყურებელი

**მაკაბი 2:1 აიაქსი**

1:0, 2:0 დაგო (49, 57), 2:1 სნეიდერი (88)
მაკაბი: შტრაუბერი, აბო-სიამი, სტროოლი (რეისი 71), ჯოვანინი, მოოსა, მიშაელოფი, ტ. კოენი, მესიკა, დაგო, ლ. კოენი (პანცილი 77), ი. ადო (ზიტონი 86)
მწვრთნელი: ნირ კლინგერი
აიაქსი: შტეკელენბურგი, გრიგერა, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, ტრაბელსი, ვან დერ ვაარტი, ობოდაი (სონკი 58), სნეიდერი, მიტია (ბუხარი 54), როსალესი, პიენაარი (დე რიდერი 70)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: პიენაარი
მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)
24 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:2 | 6 |
| აიაქსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

V ტური: 23 ნოემბერი
ბაიერნი — მაკაბი
იუვენტუსი — აიაქსი

### D ჯგუფი

**ლიონი 4:2 ფენერბაჰჩე**

0:1 სელჩუკი (14), 1:1 ესიენი (22), 2:1 მალუდა (53), 2:2 თუნჯაი (73), 3:2, 4:2 ნილმარი (90, 90)
ლიონი: კუპე (პუდებუა 72), რეველიერი, კრისი, ლ. დიატა, აბიდალი, მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, გოვუ (ნილმარი 70), მალუდა, ფრო (ბენ აფრა 83)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
ფენერბაჰჩე: რუშთუ, სერვეთი, ფაბიო ლუსიანო, დენიზი, უმით ოზატი, მარკო აურელიო, სერქანი, სელჩუკი, ალექსი (ვან ჰოიდონკი 89), სერჰათი (მეჰმეთი 85), თუნჯაი (ლიმა ფაბიანო 90)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: სერვეთი, სერქანი, სერვეთი, მარკო აურელიო
გაძევება: სერვეთი (75)
მსაჯი: მარკო ივალდი (იტალია)
35 000 მაყურებელი

**მანჩესტერი 4:1 სპარტა**

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (14, 253), 2:1 ზელენკა (53), 3:1, 4:1 ვან ნისტელროი (60, 90)
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, კ. რონალდო (კლებერსონი 69), კინი, მილერი, სქოულზი (ფ. ნევილი 69), ვან ნისტელროი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, პეტრაში, პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ვორიშეკი (მედუნა 72), ურბანეკი (შიმაკი 82), იუნი (პაჩანდა 80)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა
გაფრთხილება: პობორსკი, მილერი, ბრაუნი, ჰომოლა, პობორსკი
გაძევება: პობორსკი (88)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
66 706 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:6 | 10 |
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 12:5 | 8 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:13 | 3 |
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

V ტური: 23 ნოემბერი
მანჩესტერი — ლიონი
სპარტა — ფენერბაჰჩე




ბაიერნი — იუვენტუსი. ლილიან ტურამმა და ტურინელებმა გუშინაც იფრინეს

# კაპელოსთვის ლიგა სულ ოთხია

**ფაბიო კაპელოს** „იუვენტუსის" რაციონალურობა შესაშურია — გუნდმა ოთხივე მატჩი 1:0 მოიგო, ოთხ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა, ერთიც არ გაუშვა და მერვედფინალის საგზურიც ჩაიჯიბა.

„ბაიერნს" კარგი დასაწყისი ჰქონდა. სანამ ტურინელები დალაგდებოდნენ, მასპინძლებმა მეტოქის საჯარიმოში ბურთი აქეთ-იქიდან აბზრიალეს და ერთი გოლიც გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა.

ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, მეორე ტაიმის ბოლოს კი „ბაიერნი" კვლავ მიეძალა ტურინელთა კარს, თუმც გოლი საპირისპირო კარში გავიდა — ზლატან იბრაჰიმოვიჩის დარტყმული ბურთი ოლივერ კანს ხელიდან გაუვარდა, დელ პიერომ შეცდომით ისარგებლა და ორიოდ მეტრიდან შეაგდო. როი მაკაის ბოლო წუთზე გათანაბრება შეეძლო, ბურთის ბუფონის თავზე გადავლება სცადა, მაგრამ მეკარემ ხელი წაარტყა და „იუვეს" მშრალი სალიგო სერია შეუნარჩუნა.

თელ ავივში სამი მხიარული გოლი გავიდა და „აიაქსმა" იქაურ „მაკაბისთან" წააგო. ბარუხ დაგომ ჯერ მცველების შეცდომა შეირგო, მერე კი შტეკელენბურგი უნიათობისთვის დასაჯა. ამსტერდამელმა მეკარემ მის წინ მდგომ დაგოს მოარტყა ბურთი, რომელიც „აიაქსის" კარში შევარდა. უესლი სნეიდერმა შეხვედრის მიწურულს ერთი ასე გაქვითა — საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი გზად ორ კაცს შეეხო და გეზნაცვალი „მაკაბის" მეკარის ფეხებშუა გაძვრა.

„ოლდ ტრეფორდზე" რუუდ ვან ნისტელროი „აყვავდა" — ჰოლანდიელმა პოკერი შეასრულა ანუ ოთხი გოლი გაუტანა პრაღის „სპარტას".

„ლიონმა" კაცნაკლული „ფენერბაჰჩე" თამაშის ბოლოსლა გატეხა და პოლ ლე გუენის გუნდმაც მერვედფინალში შეაბიჯა. თურქები შაჰინ სელჩუკის წყალობით დაწინაურდნენ, ესიენმა კი მალევე გაათანაბრა. მალუდამ „ლიონი" გაიყვანა წინ, ხოლო თუნჯაიმ გაათანაბრა. სერვეთ ჩეთინი ამის შემდეგ გააძევეს და ათკაცა „ფენერმაც" ველარ გაძლო. ბრაზილიელმა ნილმარმა ბოლო ორ წუთში დუბლი შეასრულა და „ლიონს" მოაგებინა.

B ჯგუფში ვითარება ჩაიხლართა, რადგან ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა და სამი გუნდი ისევ თანაბარქულიანია. კიევში, „დინამომ" ორბურთიანი უპირატესობა უცბად მოიპოვა, მაგრამ უცბათვე გაანიავა. ჯერ რაულმა ისარგებლა მცველთა ჩათვლემით და ერთი გაქვითა, ხოლო რონალდოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფიგუმ გამოიყენა.

რომში, უმაყურებლო „სტადიო ოლიმპიკოზე" ბოლო რვა წუთში გავიდა ორი გოლი, რომელთაგანაც პირველი, დიმიტარ ბერბატოვის შესრულებული მეტად საამო გამოდგა. ბულგარელმა ჯერ მცველს გადაავლო ბურთი თავზე, მერე კი მახვილი კუთხიდან — მეკარესაც. საპასუხოდ ტოტიმ გაიბრწყინა, როცა ქუსლით პასი მიართვა მონტელას და მანაც ანგარიში გაათანაბრა.

A ჯგუფში სხვებთან შედარებით იძუნწეს. „ოლიმპიაკოსმა" „მონაკოს" გაბრიელ შურერის ბოლო წუთზე გატანილი გოლით სძლია და პირველ ადგილზე გადავიდა, ხოლო „დეპორტივო" ჟორჟე ანდრადეს უიღბლობით დამარცხდა „ლივერპულთან" — ანდრადემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, „დეპორტივო" კი ერთადერთია, ლიგაში ჯერ გოლი რომ არ გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინგლისი

ჩემპიონატი. XVII ტური
ძოვენთრი 1:1 პრესტონი
დერბი ძაუნთი 3:0 ბრაიტონი
ლიდსი 1:2 ბარნლი
ნოტინგემი 2:2 როტერჰემი
LDV ვანს ტროფი. I ეტაპი
*როვერსი* 2:0 ბარნეტი

### შვედეთი

პლეი ოფი. I მატჩი
ასირისკა 2:1 იორგრიტე

### სლოვაკეთი

თასის II ეტაპი. I მატჩები
სოგოტა 0:1 ლიხატვორცე
სლოვანი 0:0 პეტრჟალკა
ჟილინა 3:1 მორავცე

### იტალია

სერია B. გადადებული მატჩი
ალბინოლეფე 3:3 ტრიესტინა

### დანია

სუპერლიგა. XIII ტური
ორჰუსი 2:1 ოლბორგი
ესბიერგი 2:2 ბრონდბიუ
მიდტიულანდი 2:0 კოპენჰაგენი
ნორდსიელანდი 2:2 რანდერსი
ოდენსე 5:0 ჰერფიოლგე
ვიბორგი 1:1 სილკებორგი

### ესპანეთი

სამეფო თასის 1/32 ფინალი
კორდობა 3:2 ალმერია

### სერბეთი

პრვა ლიგა
გადადებული მატჩი
ვოივოდინა 1:3 ცრვენა ზვეზდა

### სლოვენია

სი მობილ ლიგა
გადადებული მატჩი
ნოვა გორიცა 2:0 კოპერი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge